ეროვნული ბიბლიოთეკა

ბა. იგი, წინააღმდეგ კანონისა, სხვა ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, სჯის იმ მასწავლებლებს, რომელნიც კანონიერად იქცევიან და 81 წლის გეგმას პედანტიურის სიწმინდით ასრულებენ.

ეს უკვე ცხადი უკანონობაა. 81 წლის გეგმა ნამესტნიკის მიერ არის მოწონებული და დამტკიცებული. ამ პროგრამის მიხედვით არის განაწილებული გაკვეთილები სასწავლებლებში და სახალხო სკოლის მასწავლებელნიც მოვალენი არიან თავიანთ პედაგოგიურ სინიდისა და კანონის წინაშე მხოლოდ ამ პროგრამის მიხედვით აწარმოვონ სწავლა. დირექციის ვერავითარ განკარგულებას ვერ შეუძლიან მოსთხოვოს მასწავლებელს ის, რაც კანონს ეწინააღმდეგება.

მაგრამ სასკოლო დირექციას, როგორც ეტყობა, კანონიერებაზედაც ისეთი წარმოდგენა ჰქონია, რანაირიც პედაგოგიურს პრინციპებზე. ქართველი საზოგადოება გულ-გრილად შეჰხედავს ამ მოვლენას. როდესაც ცხადად არღვევენ კანონს, უნდა შესაფერისი ზომებიც იქმნეს მიღებული კანონიერების აღსადგენად. საუკეთესო ზომა ის იქნება, თუ ქალაქებისა და თავად-აზნაურთა წარმომადგენლები ნამესტნიკს წარუდგებიან, გააცნობენ საქმის ვითარებას და გამოაშკარავებენ იმ მოხელეთა მოღვაწეობას, რომელთაც შუბლზე განკარგულება მიუკრავთ, კანონი კი ჯიბეში ჩაუდვიათ.

## პასუხი ბ. სილოვან ხუნდაძეს

სწორედ რომ ახირებული მდგომარეობაა! ამას წინად ბ. აკაკი მისაყვედურებდა, თქვენგან არ მოველოდიო, „სილოვან ხუნდაძეს რომ მიუდექით და დაუჯერეთ, ვითომც მე „შინაური მტერი“ „ორგული“ და „მასხარა“ ვიყოვო. მაშინათვე ხმა ამოვიღე და დავარწმუნე ბ. აკაკი, რომ ბ. სილოვანს სულ სხვა რამეში მიუდექი და არასდროს არ მომიწონია მისი მკაცრი ენა და შეუფერებელი კილო ლაპარაკისა, დაიჯერა თუ არა ბ. აკაკიმ ჩემი ნალაპარაკევი, არ ვიცი ჯერ ხნობით, ვიცი მხოლოდ ის, რომ აკაკისადმი მიმართული ჩემი განმარტება არ მოეწონა ბ. სილოვან ხუნდაძეს, რომელიც მკიცხავს იმის გამო, რომ უარვყავი მისი „ლექსიკონი“ და არ ვაკადრე ბ. აკაკის ამ ლექსიკონიდან ამოღებული არც ერთი სალანძღავი სიტყვა. ბ. სილოვანი მეუბნება: „თქვენს წერილში, რომლითაც ბ. აკაკის „უპასუხებთ (სახ. გაზ. № 794) არ მეთანხმებით, თითქოს აკაკი „შინაურ მტრებში“ გასარევი იყოს, მა იმისი ვისაც კი ებოდიშებით აკაკის, რომ ამ უმართებულო სიტყვას უნებლიეთ ხმარობთ თქვენს პასუხში მე ღრმათა მწამს, განაგრძობს ბ. სილოვანი, რომ თქვენს ბოდიშს ამ შემთხვევაში არავითარი საფუძველი არა აქვს და ამგვარი ბოდიში არ შეეფერება თქვენებურ გულწრფელ პუბლიცისტსო“. (იმერეთი № 13), ამ ჩემს გულწრფელობას ბ. აკაკიც იხსენიებდა და მეუბნებოდა, გულწრფელი მწერალი მეგონე და არ ვიფიქრებდი, რომ მხარს მისცემდი ს. ხუნდაძესო. ბ. სილოვანიც, თავის მხრივ ამასვე მეუბნება—„თქვენებრ გულწრფელ პუბლიცისტს“ არ შეშვენის, რომ აკაკის ებოდიშებითო. ამიტომ ვამბობ, ახირებული მდგომარეობაა ჩემი მდგომარეობა!

მაგრამ პირუთვნელად რომ დავაკვირდეთ ყოველივე იმას, რამაც გამოიწვია ეს კამათი დავინახავთ, რომ მოკამათენი განზრახ იბრმავებენ თვალებს და არ სურთ იმისი დანახვა, რაც ასე აშკარა და ნათელია. ჩემს წერილში „კერპთა აღდგენა“-ში, რომელიც ორ თვეზე მეტია რაც დაიბეჭდა „სახ. გაზეთში“, სავსებით არის გარკვეული ის, თუ რა აზრისა ვიყავი „ზრდილობიან“ და „უზრდელ“ კამათის თაობაზე. მაგრამ მაშინ ამ გარემოებას არც ბ. აკაკიმ, არც ბ. სილოვანმა არავითარი ყურადღება არ მიაქციეს. და ეხლა გამოხაზეს საკამათოდ ის, რაც ყველასათვის ცხადი და გარკვეული მეგონა.

მაშინ, იმ ჩემს წერილში მე ვამბობდი: „ფრიად საქებური განზრახვაა პოეტის ღირსების დაცვა, თუ რომ ეს ღირსება შელახულია ქუჩურ ლანძღვა-გინებით და თუ იყო რაიმე ამისთანა, არც ერთი გონიერი ადამიანი არ მოიწონებს ამგვარ პოლემიკას, მაგრამ რატომ გავიწყდებათ კამათის ღერძის დედა-აზრი? რისთვისაა დაჩრდილული ძირითადი საგანი კამათისა? და ეს საგანი ხომ ამგვარია: გვაქვსუფლება თუ არა, ჩვენ, უბრალო მოკვდავებს, შავი კენჭი მივცეთ განთქმულ და დიდებულ მგოსანს როდესაც ამ მგოსნის აზრი და მოქმედება ჩვენს სინიდისს და რწმენას არ ეგუება? აი გადასაწყვეტი საგანი. თორემ, აბა **ვინ არ დაგვეთანხმებათ იმაში, რომ ბ. აკაკი დიდი პატივცემის ღირსია და მას ყოველთვის მორიდებით უნდა მოვეპყრათ“.** (№ 731). ამას ვწერდი ამ ორი თვის წინედ.

ახლა მიბძანეთ, ბ. სილოვან, რატომ დასტოვეთ უყურადღებოდ ეს ჩემი მოსაზრება და მაშინათვე არ გამოაცხადეთ პროტესტი ჩემს წინააღმდეგ? აქ ხომ არსებითად სწორედ ის არის ნათქვამი, რაც ეხლა ასე გეუცხოვათ ჩემს წერილში ბ. აკაკისადმი? მაშინაც ვკიცხავდი მკაცრ და შეუსაბამო სიტყვების ხმარებას პოლემიკაში, ახლაც ვკიცხავ ამასვე. მაშინაც ვამბობდი, რომ გვმართებს პატივისცემა იმგვარის პოეტისა, როგორიც არის ბ. აკაკი, ახლაც ამასვე ვამბობ. მაშ რატომ მოხდა ეს, რომ „ჩემებრ გულწრფელ პუბლიცისტს“ შეშვენოდა ამისი თქმა ამ ორი თვის წინად, ეხლა კი არ შეშვენის? რასაც ეხლა მეუბნებით, წინადვე უნდა გეთქვათ. თქვენ ეს არ ინებეთ. ეგ თქვენი ნებაა. მაგრამ არავითარი უფლება არა გაქვთ ისე დააყენოთ საკითხი,—თითქოს მე ჩემს აკაკისადმი წერილში თქვენთვის რაღაც გასაოცარ ახალ ამბავს გიამბობდეთ. და თქვენ კი სწორედ ასე ირჯებით. თავს იწონებთ პირუთვნელობით და პირ და პირობით. ხოლო აქ პირველსაც უღალატეთ, მეორესაც.

მაგრამ ამას თავი დავანებოთ. თქვენ მისაყვედურებთ სხვა რამესაც, რაშიაც საყვედური არ მეთქმის. თქვენ ბძანებთ: „როდესაც ჩემს ეპიტეტზე“, ასე მკაცრათ მსჯელობთ, არ უნდა დაგვევიწყებიათ ის „ეპიტეტები“, რომლითაც აკაკი, ონავარი და ბელტი ჩემს პიროვნებას ეხებოდნენო“, მისაყვედურებთ, ჩემი მკაცრი ენა არ მოგწონთ, სხვას კი ამგვარსავე ენას არ უწონებთო. და ესეც მართალი არ არის, როგორც მართალი არ იყო პირველი თქვენი საყვედური. აღნიშნულ ჩემს წერილში (კერპთა აღდგენა) ვამბობდი იმათ შესახებ, ვინც თქვენს პიროვნებას უღირსად ეკიდებოდა: „სერიოზულად გვიმტკიცებენ დღეს, რომ აზრის და რწმენის თავისუფლებამ ქედი უნდა მოიდრიკოს წარჩინებულ გვამთა ავტორიტეტის წინაშე. ამ უგუნურობის წინააღმდეგ პროტესტის გამოცხადებისათვის **ადამიანს ღირსებას ჰხდიან“.** ასე რომ იმ ჩემს წერილში არც იმას ვიწყნარებდი, რომ თქვენს პიროვნებას მოურიდებლად სთელავდნენ და ამცირებდნენ. თქვენ ესეც გამოგპარვიათ, საყვედურს კი საყვედურზე აცხობთ.

მაგრამ თავი დავანებოთ ამასაც და განვიხილოთ თქვენი პრინციპიალური ხასიათის მოსაზრებანი. გინდათ დაგვარწმუნოთ ორ რამეში. ერთი იმაში, რომ „მკაცრი“ სიტყვების ხმარება საუკეთესო იარაღია პოლემიკაში, რადგან „ავს ავად უნდა ვიხსენებდეთ, კეთილს კეთილადო“. იმაშიაც უნდა დაგვარწმუნოთ, რომ „მკაცრი“ სიტყვა თქვენთვის უძვირფასესი საუნჯეა, რადგან გწამთ ფორმულა—კბილი კბილის წილ და „მკაცრი“ სიტყვა საფარია თქვენი ამ ფორმულის ცხოვრებაში გატარების დროს. აი ჩემი პასუხიც.

როდესაც „იმერეთ-კოლხიდაში“ იბეჭდებოდნენ თქვენი წერილები, რომელთაც ერქვათ „შინაური მტრები“, ეს თქვენი „შინაური მტრები“ ჭკუაში არ მომდიოდა. „Внутренній врагъ“, traître (სამშობლოს მოღალატე) vendu (მოსყიდული)—ეს ხომ ჩვეულებრივი ტერმინოლოგიაა უკიდურეს რეაქციონერებისა ყველა ქვეყნებში და ყველა სახელმწიფოებში! პოლიტიკურმა ბრძოლამ აშალა ვნებანი საზოგადოებრივ წრეებში და ისინი, ვისაც ძალ-ღონე არ შესწევთ პრინციპიალური კამათისთვის, ღირსების შემლახავ „სიტყვებს ხმარობენ თავიანთ მოპირდაპირეთა წინააღმდეგ და „სამშობლოს მტერი“ ერთი იმ ტერმინთაგანია, რომელიც დიდ პატივშია აღნიშნულ რეაქციონერთა წრეებში. და მართალი გითხრათ, როდესაც ქუთათურ პროგრესიულ ორგანოში ვნახე ამ სათაურით დაბეჭდილი წერილი, არ მიამა. არ მიამა, რომ ჩვენს მწერლობაში შემოდის არგონი და ტერმინოლოგია პოლიტიკური ნაძირალებისა. და ეხლა, როდესაც თქვენ ცდილობთ პრინციპიალური ელფერი მისცეთ ამ თქვენს „შინაურ მტრებს“ უსიამოვნო გრძნობა ჩემში ზედ-მეტად ჰმატულობს. თქვენ ბძანებთ: „შინაურ მტრათ აღვიარებ ყველას, რომელთა მოქმედებაც ჩემის აზრით ქვეყნისათვის მავნებელიაო“. სწორედ ამასვე ამბობენ ხოლმე ყველა ქვეყნის რეაქციონერები. პარიზის ქუჩურ პრესას რომ დაუჯეროთ, საფრანგეთის მოწინავე წრეებში „მოსყიდულების“ და „მოღალატეების“ მეტი არავინ არის. და იქაც, იმ პრესაშიაც ატარებენ იმ აზრს, რომ მტერი ის არის, ვინც ქვეყნისათვის მავნებელია ოღონდ გადამწყვეტი იმ საკითხისა, თუ ვინ არის მავნებელი ქვეყნისათვის, ისევ ის აღნიშნული პრესაა. ს[illegible]ნელი და ვიწრო ხასიათის შეუწყნარებლობა და ფანატიკოსობა ამგვარ აზროვნებაში. და როდესაც ამგვარი ზნე დაკანონდა და დაჰკვიდრდა ქართულ ერთ-ერთ პროგრესიულ ორგანოში, ეს გარემოება წუხარების მეტს არას იწვევდა ჩემს გულში.

მაგრამ ადამიანის შემლახავი ლექსიკონი თქვენთვის საჭიროა როგორც ბრძოლის იარაღი. კბილიკბილის წილ, ბრძანებთ თქვენ ამაყად. მაგრამ ბ. სილოვან, ეს ხომ შურისძიების პრინციპია! და ნუ თუ ურისძიების პრინციპს ეკომაგებით კულტურამ უარჰყო ეს პრინციპი თქვენ კი ებღაუჭებით მას. ადამიანის კულელობისათვის შურისძიების გრძნობა ავალებდა კაცს სისხლის ღებას. დღეს ამ სისხლს აღარ ვიღებთ არც კი ვიტარებთ გულში ამ აზრს იქაც კი, სადაც ჯერ კიდევ არ მოსპობილა საგვარეულო წესის დროინდელი ადათები, იქაც კი მორბილებულია შურისძიების ღმერთი და სისხლის ნაცვლად კმაყოფილდება ზარალის ანაზღაურებით. კბილი კბილის წილო! არა, ბ. სილოვან, დღეს ეს ფორმულა მოძველდა. დღეს აღიარებულია სხვა, უფრო კეთილშობილური და დიადი აზრი: ბრძოლა ადამიანურ ღირსების დაცვისათვის, ბრძოლა შრომის დაცვისათვის, ბრძოლა ერთა უფლების დაცვისათვის. ამ ფორმულებში არავითარ შურისძიების გრძნობას ადგილი არა აქვს. აქ [illegible] ღირებულებაა მარტოოდენ. ამ ღირებულების მოპოებისათვის ბრძოლაა საჭირო, ბრძოლა და ბრძოლა. აი ლოზუნგი დღევანდელი ეპოქისა. და ნუღარ ბრძანებთ, რომ ისე წინასწარმეტყველის დროინდელი ფორმულა იყოს სადღეისო ფორმულა.

ორში ერთია: ან კულტურას აქვს რაიმე ფასი, ან არა აქვს. თუ აქვს, უკან ნუღარ ვიწევთ და გადავაგდოთ ხმარებიდან ზნე, რომელიც ამ კულტურას არ შეეფერება. ხოლო თუ კულტურას ფასი არა აქვს, მაშინ დავერიოთ ერთმანეთს, ვცემოთ, ვტყეპოთ და ვლანძღოთ ერთმანეთი. ჩვენს გულწრფელობაშიაც ეჭვი არავის შეეპარება.

ეს არის ჩემი პასუხი, ბ. სილოვან. და როდესაც ამ ორი თვის წინად თქვენ მხარი დაგიჭირეთ მხოლოდ საერო და საზოგადო ხასიათის საკითხში დაგიჭირეთ, რაიც ჩემთვის სავალდებულო იყო იმ ხანებში. ეხლა კი ვხედავ, მეტსა მთხოვთ, გინდათ, რომ სოლიდარობა გამოგიცხადოთ იმაში, რაშიაც არასოდეს არ გეთანხმებოდით. ამას კი ვერ ვიკისრებ, რადგან თქვენს აზროვნებაში ბევრი რამ არის იმისთანა, რასაც მე ვერ ვიწყნარებ და რაც ჩემის რწმენით კულტურის შებღალვად მიმაჩნია.

არჩილ ჯორჯაძე.

# ახალი ამბავი

### ტფილისი

◆ **ახალი ადგილი პოლიტეხნიკუმისათვის.** გუშინ, 19 იანვარს, განსვენებულ ვას. გაბაშვილის მემკვიდრეებმა ქალაქის გამგეობაში განცხადება შეიტანეს, რომლითაც მომავალ პოლიტეხნიკუმს 100 დესეტინა მიწას სწირავენ საბურთალოზე. უნდა აღვნიშნოთ, რომ გაბაშვილის მიწა მდებარეობს შშვენიერ ადგილას, სუფთა და გაშლილ ჰაერზე. ვერიდან, სახელდობრ ჯვრიდან, მდებარეობს სულ 2-ნახევარ ვერსის მანძილზე. ის ადგილი კი, (200 დესეტინა), რომელიც ქალაქმა შესწირა პოლიტეხნიკუმს, ქალაქზე მეტად დაშორებულია. მდებარეობს ნავთლუღში. გარს არტყია: ერთის მხრით რკინის გზის ლიანდაგი, მეორე მხრით—ქალაქის სასალახო და მესამე მხრით—სასაფლაო. პოლიტეხნიკუმისათვის საჭიროა სულ 30—40 დესეტინა, დანარჩენი მიწა კი ნაჭრებად უნდა დაიყოს და გაიყიდოს. ამ მხრითაც რომ შევხედოთ, გაბაშვილის მიწა უფრო ხელსაყრელია, რადგან 30 დესეტინა რომ პოლიტეხნიკუმისათვის გადაიდოს, დანარჩენი 70 დესეტინა გაიყიდება გაცილებით მეტს ფასში, ვიდრე ქალაქისაგან გადადებული 150 დესეტინა.

◆ **პოლიტეხნიკუმი.** შუშის ქალაქის საურთიერთო ნდობის საზოგადოების გამგეობამ ქალაქის მოურავს აცნობა, რომ საზოგადოება ტფ. პოლიტეხნიკუმისთვის ფულის გადადების შესახებ მსჯელობას იქონიებს საზოგადოების მომავალ კრებაზე, რომელიც მარტისთვის არის დანიშნულიო.

◆ ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრმა დააწესა **ნიხრი ნავთიან ადგილების გადასახადისა** კავკასიაში. თითო დესეტინაზე დაწესებულია ხუთი მანათი.

◆ უმაღლესის ნებართვით, 1913 წ. მე-2 ხარისხის „ვოლნოოპრედელიაუშჩებს“ განსაკუთრებულ გამოცდას დაუნიშნავენ, რათა მერე უფლება მიენიჭოთ სამხედრო სასწავლებელში შესასვლელ გამოცდაზე მისვლისა. **გამოცდა მოხდება:** 1) სახალხო განათლების სამინისტროს სასწავლებლებში იან[illegible] ბერვალში, 2) სამხედრო სასწავ[...] ბლებში—მარტს: პეტერბურგ[...] დეტთა კორპუსში, მოსკოვ[...] დეტთა მე-2 კორპუსში—ორენბ[...] ში—კადეტთა მე-2 კორპუსში. [...] ლისსა, ნოვოჩერკასკსა და ოდეს[...] ადგილობრივ სამხედრო სასწა[...] ლებლებში.

◆ კოლეჟ. რეგისტრ. **საგინაშვილი** სამის წლით დაინიშნა ტფილისის საოლქო სასამართლოს ოლქის საპატიო მსაჯულად.

◆ ამ ზაფხულს, 16 თიბათვეს ტფილისში მოხდება **ბუნების-მეტყველთა და მკურნალთა მე-13 კრება.** დღევანდლამდე მონაწილეობის სურვილი განუცხადებია 700 კაცს. ამათგან 620 ექსკურსიის მსურველია. გამგე კომიტეტს ჯერ-ჯერობით 150 მოხსენება მიუღია.

◆ სამსახურის საქმეთა გამო პეტერბურგს გაემგზავრა კავკასიის წყალთა ინსპექტორი ინჟინერი **ნ. პეტროვი.**

◆ რადგანაც ტფილისის გუბე[...]ნიაში **საქონლის ჭირი** მოისპ[...], გუმბრ-ახალქალაქის გზით, ერევნის გუბერნიის ფარგლებში თავისუფლად შეუძლიანთ საქონლის გადაყვან-გადმოყვანა.

◆ **რედაქციამ მიიღო** ჟურნალ „**განათლების**“ 1 ნომერი, შემდეგის შინაარსით: საზოგადოებრივი აზრები მე-19 საუკ. კაზმულ მწერლობაში—ს. დადიანისა; ფილოსოფიურ მსოფლ-მხედველობა—გიორგი მ[...] ფარიშვილისა, სქესობრივი საკით[...]—ივ. გომარაელისა, ძირითადი მიზეზი თავის ტკივილისა—გრ. გძელიშვილისა, ბუნებრივი აღზრდა—პროფ. გურლიტისა—თარგ. ლ. ბოცვაძისა, ნიკოლოზ ბარათაშვილი—ილ. ფერაძისა, კეისარ იმპერატორი—ტრაგ. ვონრად ფალკესი—თარგმ. ა. შანშიაშვილისა და მ. შევარდნაძისა, „მშვიდობით“ ლექსი გელასი, ლექს[...] — ტაბიძისა, „ჩრდილოეთის ც[...] ქვეშ“—დ. თურდოსპირელისა, „იდუმალი ჩანგი“, ს. ბაირონიშვილისა, ჰიგიენა—ილ. ალხაზიშვილისა, შინაური მიმოხილვა—კა[illegible]ერისა, ცნობები წ. კ. გ. საზოგ. მოქმედებისა.

◆ მეფის მოადგილემ ნება დართო ადმინისტრატიულად გადასახლებულ გლეხ **კონსტანტინე მოწონელიძეს** კავკასიაში დაბრუნებისა, ხოლო ტფილისსა და მის მახლობლად ცხოვრება კი არ შეეძლება.

◆ 1912 წ. დეკემბერში **ბათომიდან გაუტანიათ შავი ქვა:** ავსტრო-ჰუნგრეთში 23,500 ფუთი, ბელგიაში—517,930 ფ., გერმანიაში—165,572 ფ., ჰოლანდიაში—694,811 ფ., ამერიკის შეერთებულ შტატებში—465,207 ფ., საფრანგეთში—60,000 ფ. სულ 1,930,020 ფუთი—ღირებული 290,438 მანათად. იმავე თვეში **ფოთიდან გაუტანიათ:** ბელგიაში—307,035 ფ. ინგლისში—1,585,675 [...] ჰოლანდიაში—1,108,119 ფ. საფ[...]გეთში—588,246 ფ. სულ 3,55[...] ფ. ღირებული 605,639 მ.

დეკემბერში ფოთიდან და ბა[...]

# დიმიტრი ყიფიანი

**(ცხოვრების, აზროვნების და მოღვაწეობის მატიანე)**

**კარი VII.**

29 მარტს 1861 წ. ხელმწიფე იმპერატორის ბძანებით, კავკასიის ნამესტნიკი თ. ბარიატინსკი შეუდგა თადარიგს ბატონ-ყმობის საკითხის გამორკვევის შესახებ ამიერ-კავკასიაში. ბარიატინსკიმ საჭიროდ დაინახა იმ მაზრებში, სადაც ბატონყმობა არსებობდა, დაეარსებინა სამაზრო კომიტეტები, ხოლო ტფილისში გლეხთა მდგომარეობის მომხსენებელი ცენტრალური კომიტეტი. სამაზრო კომიტეტებს უნდა შეეგროვებინათ მასალა ბატონ-ყმობის შესახებ და გამოერკვიათ, რაგვარი დამოკიდებულება არსებობდა გლეხთა და მემამულეთა შორის. ხოლო ცენტრალურ კომიტეტს ხელმძღვანელობა უნდა გაეწია და საზოგადოდ შეემუშავებინა ახალი დებულება. ცენტრალურ კომიტეტის თავმჯდომარედ დაინიშნა სტატს-სეკრეტარი კრუზენბერნი. მაზრის კომიტეტების თავმჯდომარეებათ კი თავ.-აზნაურთა წინამძღოლნი უნდა ყოფილიყვნენ. ცენტრალურმა კომიტეტმა, 18 აპრ. 1861 წ. დადგენილების ძალით, აუწყა სამაზრო კომიტეტებს, რომ თავად-აზნაურობას სრული უფლება ეძლეოდათ ისე გადაეწყვიტათ და შეემუშავებინათ საკითხი, როგორადაც მათი აზრი და სურვილი იყო (тѣми способами, въ той формѣ и въ тѣхъ подробностяхъ, какія само дворянство признаетъ удобными). მაგრამ მაზრებში თავად-აზნაურობას კომიტეტების არჩევა არ უნდოდა, მისი სურვილი იყო სამაზრო კრებებზე აღეძრა ეს საკითხი, რათა მის გადაწყვეტაში ყველა მიეღო მონაწილეობა. მთავრობას ამისი წინააღმდეგი არა ჰქონდა რა. ნამესტნიკის თანამდებობის აღმასრულებელმა თ. ორბელიანმა ნება დართო გუბერნატორს საგუბერნიო კრების მოწვევა 10 იანვრისთვის 1862 წ. კრება იყო მოწვეული 2 აპრილს 1862 წ. რათა საქმე არ გართულებულიყო, მთავრობის სურვილისამებრ, თვითოეულ მაზრას თავისი რწმუნებულები უნდა აერჩია და ამ რწმუნებულებისათვის მიენდოთ საქმის შესწავლა და განმარტება. კრების თათბირი გაგრძელდა 30 აპრილამდე, ამ კრებებზე გამოირკვა სურვილი, რომ რწმუნებულებათა მაგიერ, რომელთაც უნდა შეემუშავებინათ საკითხი, დიმიტრი ყიფიანს დაევალოს ეგ საქმე. დიმიტრი ყიფიანი უნდა ყოფილიყო მოხსენების დამწერი. დიმიტრიც თავის საქმეს შეუდგა და მასალების შეგროვებისათვის უნდა მიემართა იმ პირთათვის, რომელნიც საქმის წარმოებისათვის უნდა ყოფილიყვნენ არჩეულნი მაზრებში. მაგრამ აღმოჩნდა, რომ ამგვარი პირები თითქმის არსად არ აურჩევიათ. ამ უცნაურ გარემოების განსამარტავად, დიმიტრი ყიფიანი ამბობს თავის მოხსენებაში: „Докладъ Дворянству Тиф. губерн. объ улучшеніи быта помѣщичьихъ крестьянъ“, რომ თავად-აზნაურობას შიში ჰქონდა, რომ არჩეულ კაცების აზრს რაიმე კომიტეტის და ოფიციალური ხასიათის მნიშვნელობა არ მიენიჭებინათ. ამის შიშით, სანამ მთავრობა არ დაეკითხა აპრილის სხდომების თათბირის შესახებ, თავად-აზნაურობა არას ატყობინებდა. და რაკი თანამშრომლები არა ჰყავდა დ. ყიფიანს, თითონ გაიჩინა. ტფილისის მაზრაში 10 კაცს დაეკითხა, გორის მაზრაში—სამს, სიღნაღისაში—შვიდს და თელავის მაზრაში—თოთხმეტს. ყველა ამ პირთ სთხოვა თავიანთი აზრი დაწვრილებით შეემუშავებინათ. მაგრამ 23 მაისს დიმ. ყიფიანს უსიამოვნება შეემთხვა დიდ მთავართან. ბორჯომის ხეობის გლეხთა ერთ საქმის თაობაზე სათხოვნელად მივიდა დიდ მთავართან. მთავარს არ ესიამოვნა ამ საქმეში დ. ყიფიანის ჩარევა და წყრომით გაისტუმრა უკან. საყურადღებოა, რომ ოთხმოციან წლებში კიდევ განმეორდება ამგვარი ამბავი: გამოესარჩლება ბორჯომის ხეობის გლეხობას და ამ მოსარჩლეობას კიდევ ერთხელ არ მოუწონებენ. მაგრამ ამაზე საუბარი შემდეგში გვექნება. ეხლა კი უნდა აღვნიშნოთ ის გარემოება, რომ, რაკი უმაღლესი მთავრობა შემოსწყრა, დ. ყიფიანს ეჭვი დაებადა, ვაი თუ ჩემი დგომა და ხელმძღვანელობა საგლეხო საქმისა არ ესიამოვნოთ და ვაი თუ ამითი საქმე არ დაბრკოლდესო. ამ მოსაზრების ძალით, მან უარი შეუთვალა თავად-აზნაურობას, ვერ ვიკისრებ თქვენგან ნაკისრ საქმეს ამა და ამ მოსაზრებითო. მაგრამ თავად-აზნაურობა ერთხმად სთხოვდა საქმის გაგრძელებას, არწმუნებდა, რომ სრული ნდობა აქვს მისი და ისიც, რომ დიმ. ყიფიანზე კარგად ამ საგანს ვერავინ ვერ გამოიძიებს და გამოიკვლევს. დიმ. ყიფიანიც დასთანხმდა, და ისევ შეუდგა ცნობების შეგროვებას. საბოლოოდ მას 240 კაცისაგან 21 სხვა და სხვა მოსაზრება მოუვიდა. ეს მოსაზრებანი შეიმუშავა და შეისწავლა და შეადგინა აღნიშნული მოხსენება, სადაც სავსებით გამოისახა იმ დროინდელ თავად-აზნაურობის სულის კვეთება და აზროვნება, რომლის მცველად და მოსარჩლედ გამოვიდა დ. ყიფიანი.

რადგან ჩვენ აქ ბატონ-ყმობის განთავისუფლების ისტორიას არა ვწერთ, არამედ გვწადია დიმიტრი ყიფიანის აზროვნების გამორკვევა, თანხმად არსებულ საბუთებისა, ამიტომ ჩვენ გამოვიყენებთ ზემოდ აღნიშნულ მოხსენებას და სხვა დოკუმენტებსაც მხოლოდ იმ განზრახვით და იმ მხრით, რომ სავსებით იყოს გაშუქებული დ. ყიფიანის აზრი როგორც ბატონ-ყმობის, ისე მის გაუქმების და გადაგდების შესახებ. ამ საკითხის განმარტება მით უფრო არის ღირსაცნობი, რომ დიმიტრი ყიფიანის მოხსენებაში ისახება თავად-აზნაურობის დიდი უმრავლესობის აზროვნებაც. იგი იყო ნამდვილი იდეოლოგი ამ წოდების სულის კვეთებისა.

დიმიტრის ქაღალდებში არის მისის ხელით დაწერილი ხელთნაწერი, სახელად „ბატონ-ყმობა“. ეს დოკუმენტი ექსტრაქტია ვრცელ მოხსენებაში განვითარებულ აზრებისა. გავეცნოთ ამ „ბატონ-ყმობას“.

„ძველთა დროიდან, ამბობს ყიფიანი, ჩვენსა და ჩვენ ყმათა შორის ისეთი დამოკიდებულება არის დამკვიდრებული, რომელიც დიდად ემსგზავსება დამოკიდებულებასა ერთის ოჯახის, ერთის სახლის შვილებისას, ჩვენს ყმებს ისე კი არ ვიგულებდით, როგორც ჩვენს მონებსა და ტყვეებსა, ყოველთვის ისე მიგვაჩნდნენ, როგორც თანამშრომელნი და ჩვენთან ერთად შემმუშავებელნი ჩვენის საერთო საჭირნახულოსი. იმათაც ასე და არ ვეგულებოდით, როგორც მაწუ[...]ებელნი და მტარვალები, ისე მივაჩნდით, როგორც მფარველნი მათნი და საერთო ყოფა-ცხოვრების გამგებელნი. მარადის გაერთებული იყო ჩვენ შორის ჭირიცა და ლხინიცა. ერთმანეთის დასაცავად და დასაფარავად ერთად ვანთხევდით სისხლსა და ერთი ერთმანეთს ხელს უმართავდით ყოველს საქმეში და ყოველს გაჭირვებაში. მართალია ამგვარს ცხოვრებაში შემოგვეპარებოდა ოდესმე აქა-იქ უსიამოვნებაცა, რომელიც აუცილებელი არის ყოველგვარს ცხოვრებაში, მაგრამ საზოგადო თვისება ჩვენის დამოკიდებულებისა მაინც არას დროს არ შეცვლილა ბოროტად ყმათათვის; ამისათვის რომ არც იმათგან დაკლებულა საზოგადო ვალი თავდადებითის ერთგულებისა ჩვენდა მიმართ და ყოველთვის გამწირველნი ყოფილან თავისა ჩვენდა სანაცვლოდ.

„ეს ძველებური დამოკიდებულება იყო უმთავრესი მიზეზი, ეს იყო ის ქვა-კუთხედი, რომელზედაც ყა[...]ბოდა სიმტკიცე ჩვენის სარწ[...]ნოებისა და შეუმუსვრელობა ჩვე[...] მტერთაგან, რომელნი გარს გვეხვ[...]ვნენ და ჰმძვინვარებდნენ საუკუნოებით მომდინარეობისა შინა.

„რადგან აღსასრულებლად უმაღლესის ნებისა ხელვჰყოფთ ახლა ამ ჩვენს მკვიდრს მოწყობილებასა შესაცვლელად,—არ შევვიძლია გულის სიწრფელით არ ვისურვოთ, რომ ამიერიდან მათ შორის, რომელნი თავისუფალნი იქნებიან ჩვენის უფლებისაგან და ჩვენ შორის, რომელნი ვართ აქამდე მფლობელნი მათნი დამკვიდრდეს ახალი განწყობილე[...] ისეთი, რომ შეესაბამებოდეს ჩვ[...] მადლობითს გრძნობასა და იმ სი[...]თით დაუვიწყებლობას, რომელ[...] არსებობენ ჩვენ შორის და გვახს[...] ორთავე მხარესა.

„ამის გამო ჩვენ გვსურს [...]თი მდგომარეობა მივანიჭოთ ჩ[...] ყმებს, ჩვენს გამომზრდელებსა[...] ისეთს ყოფა-ცხოვრებაზე და[...]ნოთ, რომ თვით შეიძლებდნენ [...]ლად წარმართვას თავის ოჯახო[...] თავისუფლად განაგებდნენ თ[...] შრომას. და ჩვენც შევიძლებ[...] ჩვენთვის ძალას ჩვენის საოჯა[...] საქმეებისას.

„მაგრამ შეუძლებელია უმსხვ[...]პლოდ აღსრულება ამ სურვილებ[...]რა რომ მსხვერპლს ვახსენებთ, [...]თუოდ თვალი უნდა გადავავლ[...]რაში მდგომარეობს ახლანდელი [...]ლება ჩვენი? შეძლება ჩვენი მდგო[...]რეობს ორგვარს ჩვენს სამართალ[...] ერთი სამართალი მიგვიძღვის კაც[...]ზე, დიდად ვრცლად არის გამოხატ[...]

მიდან სულ გაუტანიათ საზღვარ-გარედ 5,489,077 ფ. შავი ქვა, ღირებული 895,477 მ. საშუალო რიცხვით ფუთზე მოდის 12 კაპ.

✦ **დღეს მწირველნი არიან:** სიონის საკათედრო ტაძარში ერევნის ეპისკოპოსი პიმენი, ეგზარხოსის ეკლესიაში—ბაქოს ეპისკოპოსი გრიგოლი და დარიის მონასტრის ეკლესიაში—გორის ეპისკოპოსი ანტონი.

✦ დეპეშათა სააგენტო გადმოგვცემს, რომ **კიევში** 33 ბრიგადის, მეხუთე ბატარეის უფროსი კრიტსკი ქუჩაში შეხვდა გაქცეულ ჯარის კაცს **ბაკურაძეს** და უბრძანა, ყაზარმაში დაბრუნებულიყო. ბაკურაძემ მძიმედ დასჭრა კრიტსკი. სროლის ხმაზე ყაზარმებიდან ჯარის კაცები გამოცვივდნენ და სროლა ასტეხეს. სროლის დროს მოიკლა ეფრეიტორი, დაჭრილია პორუჩიკი გერასიმოვი და უნტერ-ოფიცერი. ბაკურაძეც მოჰკლეს.

**პეტერბურგი.** ცნობათა მიმცემი ბიურო უაჰყოფს, ვითომც შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგი ლიკოშინი თანამდებობას თავს ანებებს.

✦ კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების ბინაზე **კურსები** გაიხსნა საძოვარ ბალახის ავადმყოფობათა და მავნე მწერთა წინააღმდეგ საბრძოლველად. კურსებზე ამ ჟამად ლექციებს ისმენს 30 კაცი. ლექციის მოსმენის უფლება გარეშე ხალხსაც აქვს. ლექციებს კითხულობენ აგრეთვე სასოფლო მეურნეობის შესახებ.

✦ **მიწათ-მოქმედების დეპარტამენტმა** წინადადება მისცა მიწათ-მოქმედებისა და მიწათ-მოწყობის კავკასიის მთავარ რწმუნებულს, დანიშნოს სპეციალისტ-აგრონომები წარმომადგენლად აგრონომების კრებაზე, რომელიც პეტერბურგში იმართება.

✦ 18 იანვარს ტფილისიდან ეჩმიაძინს გაემგზავრა გაზეთ „ბირჟევიე ვედომოსტი“-ს საგანგებო კორესპონდენტი ბ-ნი ოლგენინი, რომელიც წარუდგება სრულიად სომხეთა კათალიკოსს და აგრეთვე დაათვალიერებს ეჩმიაძინის მონასტერსა. ეჩმიაძინიდან ტფილისს დაბრუნდება, საიდანაც გაემგზავრება ოსმალეთის სომხების მდგომარეობის შესასწავლად.

✦ **შეწირულებანი.** კავკასიელ ღარიბ სტუდენტთა დამხმარე საზოგადოებას შესწირეს ათ-ათი თუმანი ბაქოელმა მილიონერმა გ. ზ. ა. ტაგიევმა და ალა მუსა ნაგიევმა.

✦ **ახალი წიგნი.** ამ მოკლე ხანში გამოვა ახალგაზრდა მწერლის **დ. თურდოსპირელის** რჩეული ნაწერები.

✦ გუშინ პიატიგორსკის ქალაქის მოურავი ს. ი. ბოლტენკოვი სადარბაზოდ იყო ქალაქის მოურავ ა. ი. ხატისოვთან გამგეობის სადგომში. ბ-ნმა ბოლტენკოვმა დაათვალიერა საქალაქო დაწესებულებანი.

✦ დაიბეჭდა და გამოვიდა „ტფ. ქალაქის საბჭოს უწყებების“ მე-11 ნომერი.

✦ **მეეტლეთა მამასახლისად** აირჩიეს იაგორ ოსეფას ძე ყარალიოვი, ხოლო მის კანდიდატად ბახტიუზოვ ზაბელ მუსინი.

✦ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობამ **საგურამოს სკოლის მასწავლებლად** დანიშნა ანნა პარკაძისა.

✦ ქ. შ. წერა-კითხვის საზოგადოებამ დონის როსტოვიდან მიიღო 342 მან. 16 კ. ეს ფული დარჩენილა **იმ ქართულ საღამოდან,** რომელიც ამას წინად გაიმართა წ.-კ. საზოგადოების სასარგებლოდ.

✦ **ქალაქის გამგეობამ** დაადგინა შენობა აგოს სამკურნალოსთვის, ლომბარდისა და საქიმიო ლაბორატორიისათვის იმ მიწაზე (620 ოთხკ. საჟენი), რომელიც ამას წინად შეიძინა რეუტოვისა და ფიოდოსიევის ქუჩებისა და კოჩუბეევის მისახვევის კუთხეში.

✦ ერევნის გუბერნატორმა ნება დართო კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების მესაქონლეობის ბიუროს, გამართოს გუმბრში მეწველ საქონლის გამოფენა.

✦ დღეს, ნაშუადღევის 1 საათზე სახალხო სახლში ს. შახოვი ლექციას წაიკითხავს ბალკანეთის ომზე.

✦ სავაჭრო-სამეურნეო პოლიციის უფროსმა მეთვალყურემ სავაჭრო პოლიციის აგენტებს დაავალა, ერთის კვირის განმავლობაში წარმოადგინონ დაწვრილებითი ცნობები: ტფილისში რამდენი საწყობია ნახშირისა და 1912 წელს რამდენი ნახშირი გაყიდულა ტომრობით თუ ფუთობით.

✦ **წესიერი დასვენება.** ქალაქის გამგეობის დავალებით სავაჭრო-სამეურნეო პოლიციის უფროსმა მეთვალყურემ ა. ა. შავერდოვმა ქალაქის გამგეობას წარუდგინა მოსაზრებანი სახელოსნო დაწესებულებებში მოსამსახურეთა წესიერ დასვენების უზრუნველ ყოფისა. ამ მოსაზრებებით იხელმძღვანელებს საგანგებო კომისია, რომელიც წესიერ დასვენების წესებს ადგენს.

✦ **დესიმონოვის მოედნის გასამშვენიერებლად** სავაჭრო-სამეურნეო პოლიციის უფროსმა მეთვალყურემ ქალაქის გამგეობას შემდეგი მოსაზრებანი წარუდგინა: 1) ვაჭრობა თივისა, ბზისა და სხვა საგნებისა, რომელიც ურმებით მოაქვთ ქალაქში, დესიმონოვის ქუჩიდან დროებით გადატანილ იქმნას სენნი მოედანზე, მტკვრის ნაპირას, ვიდრე შესაფერ ადგილს მოსძებნიდნენ, 2) საერთოდ ასეთი ვაჭრობა გადატანილ იქმნას ქალაქის განაპირა ადგილებში, 3) ცხენების ვაჭრობა, რომელიც კვირაობით სწარმოებს დესიმონოვის ქუჩაზე, გადატანილ იქნას წმ. ბარბარეს ქუჩის იქით, ან არა და ქალაქის ბაკში მას შემდეგ, რაც ეს ბაკი ახალ ადგილას გადავა.

✦ გაზეთ „ზაკავკაზიეს“ მოჰყავს ცნობა „ბაქოდან“, ვითომც თ-დ ბაგრატიონ-დავითიშვილს თ-დი პ. ი. თუმანიშვილი **დუელში გეთხოვოს.** თ-დ თუმანიშვილს თანხმობა განუცხადებია მხოლოდ იმ პირობით კი, თუ თ-დი ბაგრატიონ-დავითიშვილი პასუხს გასცემს „კავკაზი“ მოთავსებულ წერილის კითხვებზე. გაზ. „ზაკავკაზიე“ ბოლოს დასძენს: „ჩვენ მიერ შეკრებილ ცნობებით ეს ცნობა მოჭორებულია. მართალია დუელში გაწვევა მართლა მოხდა, რაზედაც თ-მა პ. ი. თუმანიშვილმა **გადაჭრილი** პასუხი შეუთვალა, ვითომც მას კანონი, როგორც თავადაზნაურთა წინამძღოლს ნებას არ აძლევდეს დუელში გასვლისას; ამის გარდა თვით თუმანიშვილი პრინციპიალურად წინააღმდეგი ყოფილა დუელისა. შესაფერი ოქმი შესდგა დუელზე უარის განცხადებისა“.

### საზოგადოებანი და კრებები

✦ დღეს, დილის 11 საათზე, ნაძალადევის საქალაქო სკოლის დარბაზში ჩირქეზოვის ქუჩა (სახლი ბოტტეი) დანიშნულია საზოგადო კრება ტფილისის მომხმარებელ საზოგადოება **„მომავალი“-ს** წევრებისა, განსახილველად არჩეულ კომისიის მოხსენებისა.

კრება, როგორც გაგრძელება მეორე საზოგადო კრებისა კანონიერად ითვლება რავდენი წევრიც დაესწრება. გამგეობა სთხოვს წევრებს აუცილებლად დაესწრონ.

✦ **ვექილთა შორის.** დღეს წლიური კრება ექნება ტფ. ოლქის სასამართლოსთან არსებულ ნაფიც ვექილთა და მათ თანაშემწეთა კონსულტაციის წევრთ.

✦ ქალაქის საბჭოს ხმოსან ინჟინერ ა. ს. ბაბოვის თაოსნობით ტფილისში არსდება **საამშენებლო საზოგადოება,** რომლის მიზანიც იქნება: აიღოს საამშენებლო სამუშაო და მიაწოდოს მსურველთ საამშენებლო მასალა.

✦ **ქალაქის საბჭოს** მორიგი კრება 21 იანვარს მოხდება. განსახილველი აქვს 14 საქმე, მათ შორის 1) შუამდგომლობა მასწავლებელ ქალთა საზოგადოებისა, რომელიც ქალაქისაგან შემწეობას თხოულობს, 2) გამგეობის მოხსენება ტფილისში სანიტარიულ კანტორების რიცხვის გადიდების შესახებ, 3) საკითხი საპოლიტექნიკუმო ადგილის და გეგმის შესახებ, 4) გამგეობის მოხსენება ვაკეში ბებუთოვების ადგილის ნაჭრებად დაყოფის შესახებ და 5) საკითხი კახეთის რკინის გზის სადგურის (ტფილისში) შესახებ.

✦ **რუსეთის მეხილეობის საზოგადოების ამიერ-კავკასიის განყოფილების** კრება 16 იანვარს მოხდა მიწათმოქმედების სამინისტროს მთავარ რწმუნებულის კანცელარიის სადგომში. კრების დაწყებამდე დამსწრეთ განყოფილების თავჯდომარის ამხანაგმა გ. გ. შმიდტმა აცნობა: საზოგადოების უავგუსტოესმა თავმჯდომარემ დიდმა მთავარმა ნიკოლოზ მიხეილის ძემ განყოფილების თავჯდომარედ დაამტკიცა კაპიტანი ს. ს. ხეთაგურიო, რომლის თავჯდომარეობით დაიწყო კრება. თავჯდომარის წინადადებით, დამსწრეთ ფეხზე ადგომით პატივი სცეს გარდაცვალებულ აგრონომ ი. კ. ვასილიევის ხსოვნას. კრებამ მოისმინა ს. ნ. ტიმოფეევის მოხსენება ხილის გახმობის შესახებ და დაადგინა, სთხოვოს მიწათმოქმედების დეპარტამენტს, კავკასიაში გამოგზავნოს ცნობილი აგრონომი კრიშტოფოვიჩი ხილის გახმობის წესიერად დასაყენებლად. ამის შემდეგ კრებამ დაამტკიცა მეხილეობისა და მებაღეობის ნაწარმოებთა მეორე მორიგ გამოფენა-იარმუკის ანგარიში. დასასრულ დამსწრეთ აჩვენეს ის კონსერვები, რომელიც მოამზადეს პირველდაწყებით სკოლების მასწავლებლებმა შარშან განჯაში გამართულ კრებებზე.

### ქუთაისი

✦ ქალაქის საბჭოს სხდომა მოხდება 21 იანვარს. ამ კრებაზე ფიქრობენ მოახდინონ ქალაქის გამგეობის წევრის არჩევნები. ხმოსნების ერთი ნაწილი ქუთაისის ქალაქის გამგეობის წევრის თანამდებობაზე ფიქრობს წამოაყენოს იონა მეუნარგიას კანდიდატურა.

✦ ქუთაისში აპირებენ დაარსონ საგუბერნიო კავშირი ქუთაისის გუბერნიის დაბა-სოფლებში არსებულ წვრილ საკრედიტო დაწესებულებათა.

✦ ფილხაზ ციციაშვილის მოკვლის თაობაზე ქუთაისში შეიპყრეს ებრაელი ფიჩხაძე.

✦ ქუთაისში 25 თებერვალს ტფილისის სამოსამართლო პალატის სესია გაარჩევს: გიორგი და მაქსიმე ზურტელავების, ვასილი ანტონი და გერასიმე ფარცვანიების საქმეს. მათ ქუთაისის საოლქო სასამართლოს-მიერ სხვა და სხვა ბოროტმოქმედებისთვის და თავდასხმისათვის სხვა და სხვა ვადით კატორღა აქვთ მისჯილი.

✦ ტფილისის ციხიდან ქუთაისის ციხეში მოიყვანეს: ანდრია ყიფშიძე და ვასილ თვალჭრელაძე.

✦ 24 და 25 იანვარს ქუთაისში საოლქო სასამართლოში გაირჩევა მგოსანი აკაკის საქმე, სადაო მიწების თაობაზე.

✦ ამ დღეებში ქალაქის გამგეობის დარბაზში მოხდება ვაჭრობა ქალაქის ქუჩებზე აფიშების და განცხადებების გაკვრის უფლების იჯარით გასაცემად.

✦ ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების ქუთაისის განყოფილების გამგეობის მიერ ახლად არჩეული სამკითხველოები მეთვალყურე ბ-ნი ღოლობერიძე, ამ დღეებში გაემგზავრება ქუთაისის წ. კ. გ. საზოგადოების გამგეობის მფარველობის ქვეშ მყოფ სამკითხველოების სარევიზიოდ.

✦ ვლ. ალექსი-მესხიშვილის იუბილე განზრახული აქვთ ქუთაისში იდღესასწაულონ 10 მარტს. („მერც.“)

### ბაქო

✦ თ-დმა დადიანმა ითხოვა, რომ ბაქოს ჰაუპტვახტიდან კავკავისას გადმიყვანეთო. სამოსამართლო პალატამ ეს თხოვნა არ შეიწყნარა.

### ბათომი

✦ 1912 წლის ქალაქ ბათომის უფასო თავშესაფარში ყოფილა 367 კაცი. პოლონელი 58, რუსი 130, ქართველი 100, სომეხი 79, ოსმალო 44.

### სიღნაღი

✦ 15 იანვარს ს. ბოდბისხევში მომრიგებელ შუამავლის ვ. დ. ნაცვლიშვილის თანადასწრებით სოფლის ყრილობამ გადასწყვიტა წყლის გამოყვანა. და ამ საქმისთვის ხაზინიდამ ეგრედ წოდებულ მალაზიის ფულის გამოტანა. ეს საქმე მიანდეს ადგილობრივ მამასახლისს შაქრო ნაცვლიშვილს და გიგო ნაცვლიშვილს.

✦ 15 იანვარს დანიშნული სიღნაღის კლუბის კრება არ შესდგა, რადგანაც მარტო 10 წევრს შეუტანია საწევრო გადასახადი.

✦ 13 იანვარს დღის 2 საათზე სოფ. ბოდბეში გასათხოვარმა ქალმა თამარო ილიას ასულმა ბეგაშვილისამ თავი მოიკლა ბერდანის თოფით. მიზეზი გამოურკვეველია.

### სოფლად.

✦ ს. მაღლაკი. გლეხებმა აირჩიეს რამოდენიმე პირი, რომელთაც დაევალათ ქურდ-ბაცაცების აღმოჩენაში დახმარება აღმოუჩინონ ადმინისტრაციას.

✦ ს. გორდასა და კინჩხაში (სენაკის მაზრაშია) დიდი თოვლი მოვიდა, საშინელი ზამთარია, ხალხი დიდი ზამთრის გამო დიდ გაჭირვებას განიცდის. („მერც.“)

## უხვი შეწირულება.

როგორც დღევანდელ გაზეთში დაბეჭდილ ცნობიდან გაიგებს მკითხველი, ვას. გაბაშვილის მემკვიდრეებს ასი დესეტინა მიწა შეუწირავთ ვერაზე ტფილისის მომავალ პოლიტეხნიკუმისთვის. ქალაქის გამგეობა, რა თქმა უნდა, დიდის სიამოვნებით მიიღებს ამ უხვს შეწირულებას. ძვირფასია ეს შემოწირულება არა მარტო იმით, რომ მიწა თავის თავად დიდს ღირებულებას წარმოადგენს, არამედ იმიტომაც, რომ ქალაქს საშუალება ეძლევა უფრო კარგსა და ქალაქის ცენტრთან დაახლოვებულ ადგილას გამართოს პოლიტეხნიკუმი. არავისთვის საიდუმლოებას არ უნდა შეადგენდეს, რომ ის ადგილი, რომელიც ქალაქმა შესწირა მომავალ პოლიტეხნიკუმს, ამ მხრით ბევრად ჩამოუვარდება ახლად შეწირულს. დიდი მადლობის ღირსნი უნდა იყვნენ შემომწირველნი, რომ ქალაქის გამგეობა, რომელიც დიდ ხანს ეძებდა ხელსაყრელ ადგილს პოლიტეხნიკუმისთვის უხერხულ მდგომარეობიდან გამოიყვანეს.

## ჟურნალისტის დღიური

116.

**სიღნაღის საქალაქო არჩევნები.**

თანდათან ჩვენს პროვინციასაც გამოღვიძების ნიშნები ეჩნევა. ძველი აპატიისა და გულ-გრილობას ადგილს იჭერს საქმისადმი ცხოველი ინტერესი. ამ მოკლე ხანში გორში მოხდა საქალაქო არჩევნები; არჩევნებს წინ უძღოდა დიდი აგიტაცია და საგაზეთო პოლემიკაც კი. რა თქმა უნდა თვით ამ აგიტაციასა და პოლემიკაში ბევრი რამ არა სასიამოვნო იყო, მაგრამ საზოგადოდ იგი იმის მომასწავებელია, რომ პროვინცია მეტის ყურადღებით ეკიდება საქმეს. იგი უკვე ჰგრძნობს, რომ საქალაქო არჩევნები მარტო თავისი შინაური საქმე არ არის, რომ მას მჭიდრო კავშირი აქვს მთელს ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებასთან, რომ იგი ამ ცხოვრების ჯაჭვის ერთი რგოლთაგანია.

ასეთსავე გზას უნდა დაადგეს ქალაქი სიღნაღიც, თუ არ უნდა თავის ვიწრო ნაჭუჭში ჩაიხრჩოს და საერთო საზოგადოებრივ ცხოვრების ფერხულში ჩაებას. სიღნაღი შედარებით პატარა ქალაქია, მაგრამ კახეთის რკინის გზის გაყვანის შემდეგ მისი მნიშვნელობა გაიზრდება. იგი, თელავთან ერთად, კახეთის ცენტრად გადაიქცევა. ამიტომ სიღნაღელებისთვის სულ ერთი არ უნდა იყოს, ვის ხელში იქნება ქალაქის სადავე ან ვინ გაუძღვება მის მეურნეობას.

არჩევნების სააგიტაციო პროცესის დროს უსათუოდ ბევრნაირი ინტერესი გადაიხლართება. ბევრი მოინდომებს ძველი გავლენის შენარჩუნებას, ბევრი ხალხის სამსახურის სამოსელში გაეხვევა და პატყელ-პუტყელ სიტყვებს გადაუშლის ამომრჩეველს. ამ უკანასკნელებმა ცოტაოდენი შორს-მჭვრეტელობა მაინც უნდა გამოიჩინონ და ქალაქის უფროსობა ჩააბარონ ისეთს ადამიანს, რომელიც განსაკუთრებულის ყურადღებით მოეკიდება ქალაქის საქმეებს და სულიერადაც მთელ საქართველოს ინტელიგენციასთან იქნება დაკავშირებული. უნდა ამოირჩიონ ისეთი ადამიანი, რომელსაც ეცოდინება, რომ თავისი მუშაობით მარტო სიღნაღის პატარა საქმეებს კი არ აკეთებს, არამედ მონაწილეობას იღებს მთლად ქართველთა საერთო ეროვნულ-კულტურულ აღორძინების საქმეში. ისეთი ადამიანი, რომელსაც ასეთი შეგნება არა აქვს, რომელსაც სიღნაღის საქმეები მარტო თავის შინაურ საქმეებად მიაჩნია, ქალაქის მოურავად ვერ გამოდგება. **შინაური.**

## ქართულ ჟურნალ-გაზეთების

### რედაქციებისა და წიგნების გამომცემლებისადმი.

ბევრი რამ არის საჭირო, რომ ეხლანდელი უმწეო მდგომარეობას თავი დავაღწიოთ, ბევრი შრომა და მუშაობა დაგვჭირდება ჩვენი თვითარსებობის დასაცველად და უკეთესი მომავლის დასამყარებლად და რომ შრომა უფრო ნაყოფიერი იქნეს, აუცილებლად საჭიროა, ვისარგებლოთ იმითი, რაც გაკეთებულა წინად და წინანდელი შეცდომები მომავალში თავიდან ავიცილოთ. ჯერ კიდევ ისეთ პირობებში ვართ, რომ

---

ლი ჩვენს ძველებურს კანონებში: „ბატონმა ივანემაც წარმოსთქვა: ყმა თავით თვისით და ყოველითურთ, რაც აქვს მას, ეკუთვნის ბატონსა მისსაო“. ასე გვიწერს კანონი.

„ამ კანონის ძალით ძველთაგანვე არის დაწესებული მრავალგვარი პირადი სამსახური და გადასახადი ყმისა, რომელიც ფრიად დამცირებულის დაფასებით შეადგენს ბატონის შემოსავალს წელიწადში 5 თუმნიდამ თითქმის 45 თუმნამდე თვითო გლეხის ოჯახისაგან ან თვითო კომლისაგან...

„სამართალი მიწაზე, კანონთამებრ და უფროსლა ჩვეულებათამებრ ზემოხსენებულზე უვრცელესი და უსაცილოდ დასაკუთრებული მფლობელებისადმი, სრულს უფლებას აძლევს მფლობელთა იხმარებდეს და განაგებდეს მიწას თავისის საკუთარის ნებისამებრ. ეს მეორე სამართალი გვაძლევდა და გვაძლევს სხვა შემოსავალსა, სხვა სარგებლობასა, სარგებლობას **მიწისას:** ვინც უნდა იყვეს შემმუშავებული მიწისა, მიწის პატრონს ეძლევა მისგან დაწესებული წილი ნაყოფისა და მოჰხმარდება მუშა მისს საოჯახო საქმეებში, ზომა ამ წილისა და ზომა ამ მოხმარებისა სხვა და სხვა გვარ არიან. დაწესებულ არიან ყოველგან მიწის თვისებისა და სასოფლოს ჩვეულების მიხედვით.

„აქედამ თვით თავისით წარმოსდგება განსაზღვრა იმ მსხვერპლისა, რომელიც შესაწირავ უნდა იქმნეს ჩვენის ყმების სამჯობინარ მდგომარეობაზე დაყენებისათვის. რა რომ მამპაპურის ჩვეულებით დაულოცავთ ჩვენ მათ ახალს ყოფა-ცხოვრებასა, უნდა დავსთმოთ პირველი ჩვენი სამართალთაგანი, ესე იგი, უნდა ავლჰხსნათ ყმათაგან ჩვენთა ყოველი **ყმური** ჩვენდამი ვალდებულება; უნდა ვაპატიოთ ყოველი პირველის გვარის გარდასახადი, თავისუფალ ვყოთ ყოველის ყმობის ვალდებულებისაგან. —ამაზედაც ვერ შევჰსდგებით: სხვა მსხვერპლიცა დაგვჭირდება, რადგან უნდა სრულ იქმნეს კეთილსაყოფელი მათთვის და დასამადლებელი სურვილი ჩვენი, რათა სამჯობინარ ვჰყოთ ცხოვრება მათი. ამ სურვილისამებრ ჩვენისა არა თუ აწინდელს სახლკარობას არ მოუშლით, იმ ჩვენს ადგილ-მამულებსაც მივანებებთ, რაც რომ ამ ჟამად ხელში უჭირავთ, იხმარონ და ისარგებლონ, როგორც თვით არჩევდნენ, ერთითა მხოლოდ პირობითა მით, რომლითაც ყოველი თავისუფალი კაცი, გინა ხიზანი, ჰხმარობს და ჰსარგებლობს სხვის ადგილ-მამულს, ესე იგი, ჩვენს ქვეყანაში საზოგადოთ დაწესებულითა პირობითა, რომ სადაც რა ზომა არსებობს ახლა ნაყოფის წილის ძლევისა პატრონისადმი და მუშის მიხმარებისა, იგივე ზომა დარჩეს ყოველგან შეუცვლელად წლის განმავლობამდე, ხოლო რა ვადა ესე გათავდება, მაშინ მოჰხდეს ცვლილება მიწის შემმუშავებელთა და მიწის პატრონის ურთიერთარს შორის—ნებაყოფლობითა და დათანხმებითა. ორთავე მხარეთათვის უმჯობესად ვრაცხთ, რომ მუშით მოხმარება ფასდებს ახლავე, რათამცა ფული გარდიხადოს ვინც მუშაში გამოსვლას არ არჩევს. ამ პირობით არ დაეშლებათ სარგებლობაც ჩვენის საძოვრებისა, წყლისა და ტყისა, სადაც ახლა ჰსარგებლობენ, მათის საშინაო საჭიროებათათვის და არა ვაჭრობისა და აღებმიცემობისათვის.

„ესრეთ ყმათა ჩვენთვის შესაძენად ჩვენ უნდა დავსთმოთ: 1, წლის შემოსავალი კომლზედ 5 თუმნიდამ 45 თუმნამდე და 2, ყოვლის მომატება გარდასახადისა მიწის სარგებლობისათვის, თვინიერ მათთან დათანხმებისა...

„რა რომ ამას ყოველსავე წარმოვჰსთქვამთ, ახლა იმას უნდა მიუბრუნდეთ, რომ მსხვერპლი ეს ჩვენი, —თუმცა ყმათა ჩვენთათვის უსათუოდ საჭირო არის და სამართალსა მღვთიურსა ეშასაბამება, — მაგრამ ჩვენთვის ისე ძნელი არის, რომ თუ უსაზღვროდ შეგხვდა შეწირვა მისი, ჩვენ შევიქნებით მაშინ ვერ შემძლებელ ცხოვრებისა და საზრუნველ მმართველობისათვის. და მმართველობამ რომ ამ მძიმე საქმის დასაბოლოვებლად ჩვენს მდგომარეობაშიაც მონაწილეობა არ მიიღოს, ამას ვერ ვიფიქრებთ, რადგან იმავე მღვთიური სამართლის ვალისამებრ და სადღესასწაულოთა თვისთა აღთქმათამებრ—უნდა ჯეროვანად პატივდებულ ჰყოს ჩვენი წინაპართაგან მემკვიდრეობით მიღებული და აწ შესამლადი დაწყობილება ჩვენის ქვეყნისა,—და არ შეგვამუსვრინოს ჩვენის ხელით ყოფა-ცხოვრება ჩვენი უნუგეშოდ და უსაფუძვლოდ მომავალში წარმატებისათვის.

„ამის გამო სასოებით უნდა მივმართოთ მმართველობას ჩვენის თხოვნითა, რომ ერთ-დროებით მაინც აღგვიდგინოს და შემოგვიბრუნოს ნაწილი რომელიმე ამ ჩვენის უზომოს მსხვერპლისა.

„ამ შემთხვევაშიაც ცხად-ვჰყოფ უკიდურესი ზომიერება ჩვენის სურვილისა და უმცირესი ზომა დავნიშნოთ იმ სასყიდელისა, რომელსაც ვითხოვთ მმართველობისაგან და რომელთაც შევიძლებდეთ განვარიდოთ თავი ჩვენი უმძიმესს გაჭირვებასა და ვსთქვათ ესე:

„ზემოდ რომ ორგვარი ჩვენი სამართალი მოვისმინეთ, პირველისა მათგანის მძღვანელობით ნება გვაქვს კომლზედ ერთი სული მოსამსახურე გამოვიყვანოთ. ვიდრემდის ეს უფლება ჩვენი არსებობს, რასაკვირველია, თითქმის არავისა გვჭირდება დაქირავება მსახურისა, მაშასადამე არ შეიძლება საქირავებელი ფასი დიდად მდაბალი არ იყოს; მაგრამ მაინც შეუძლებელია მოჯამაგირის შოვნა უიეფეს 5 თუმნისა წელიწადში. ჩვენ ვითხოვთ ერთ მთავრის სიუხვისაგან კომლზედ იმდენს ფულსა, რომ იმისი სარგებელი ნახევარს მაინც უდრიდეს ერთის კაცის ჯამაგირისა.

(ხუთი თუმანი რომ 16 გზის გამრავლებით თავნად ვაქციოთ, გამოვა 800 მანეთი და ჩვენ ვითხოვთ ამასა ნახევარსა, 400 მანეთს კომლზე).

„მაგრამ აქაც განუდრეკელად ვაგდებთ ჩვენს უმთავრესს სურვილსა, რომ ჩვენს ყმებს სამჯობინარი ყოფა-ცხოვრება დაუმკვიდროთ და ამის გამო ვითხოვთ, რომ ეს ერთდროებითი მათდა სასარგებლოდ წარსაგებელი მმართველობამ მათ არ დაადვას ვალად, რადგან მაშინ შეუძლებელიღა იქმნება დაფუძნება მათის კეთილდღეობისა, არამედ მოგვცეს, როგორც ვსთქვით, ხელმწიფის სიუხვითაგან ხარჯად არა მესაზღაურებლად“...

დააკვირდით ამ დოკუმენტს; იგი ფრიად საგულისხმოა. ძველ დროში სურმე მამა-შვილური დამოკიდებულება იყო ყმათა და ბატონთა შორის, ყმები ისე მიაჩნდნენ ბატონებს, როგორც „თანამშრომლები“ და მათთან ერთად „შემმუშავებელნი საერთო საქირნახულოსი“. მაგრამ აღმოჩნდება, რომ ამ მამაშვილურ ოჯახში მებატონეთ ჰქონდათ „სამართალი“ (უფლება) კაცებზე და მიწაზე. პირველი სამართლის ძალით დაწესებული ყოფილა „მრავალგვარი პირადი სამსახური და გადასახადი ყმისა“. მეორე სამართლის ძალით კიდევ განსაზღვრული იყო მიწის საკუთრებიდამ გამომდინარე სარგებლობა. და რაკი ასე ყოფილა საქმე, რაკი ერთის ხელში ადამიანის პიროვნებაც იყო და ქონებაც, ამიტომ ფრიად საეჭვოდ ხდება ნახსენები მამაშვილური დამოკიდებულება. თანამშრომლობა თანასწორუფლებიანთა შორის არის შესაძლებელი და არა ყმასა და მებატონეს შორის. თუმცა ეს აშკარა წინააღმდეგობაა, მაგრამ ეს წინააღმდეგობა თავად-აზნაურთათვის დაფარული იყო, რადგან თავად-აზნაურობისთვის სასარგებლო იყო ამ ნიადაგზე დგომა. თუ ასეთი დამოკიდებულება იყო, იქნებ არც კი იყოს საჭირო ბატონყმობის გადავარდება. ხოლო თუ მაინც და მაინც არ დაიშლიან, უნდა იცოდნენ, რომ ამ დაწყობილების შეცვლით თავად-აზნაურობა ფრიად [illegible] და [illegible] არ შეეძლება და [illegible]. მაგრამ რაკი ამისი აცილება თავიდამ, როგორცა სჩანს, შეუძლებელი ხდება, ამიტომ თავად-აზნაურობა იჩენს თავის კეთილშობილებას და მზად არის მსხვერპლი შესწიროს. მაგრამ ამ „მსხვერპლს“ რომ [illegible] გაუსინჯოთ, დავრწმუნდებით, რომ იგი სრულიადაც არა ჰგავს მსხვერპლს. თავად-აზნაურობის „მსხვერპლი“ იმაში მდგომარეობდა, რომ ისინი ანთავისუფლებდნენ გლეხს ყმურის ვალდებულებისაგან, ოღონდ სანაცვლოდ მთავრობას სთხოვდნენ კომლზე ოთხას მანეთამდე. სახლკარს და მიწასაც „უბოძებდნენ“ გლეხებს, ხოლო ისე, როგორც უთმობენ მოიჯარადრეს ანუ ხიზნებს, განსაზღვრულ გადასახადის სანაცვლოდ. ასე რომ ამგვარი მსხვერპლი მაინც და მაინც მძიმე არ უნდა ყოფილიყო თავად-აზნაურობისათვის. მაგრამ იგი ისე იყო დაშინებული იმ ცვლილებით, რომელიც უნდა მომხდარიყო, რომ თავისი მდგომარეობა უნუგეშო მდგომარეობად მიაჩნდა და თავისი პოზიციის დასაცავად შეუფერებელ საბუთებს ხმარობდა. ერთის მხრით, სურვილი ჰქონდა ქვეყნის თვალში არ დამცირებულიყო და დაენახვებინა, რომ მასში ისე არის განვითარებული ღირსების და კეთილშობილების გრძნობა, რომ იგი არავითარი გარემოებას არ შეუშინდება, თუ კი საჭირო იქნება ხელმწიფე იმპერატორის სურვილის დაკმაყოფილება. მეორეს მხრით, იგი

ვისაც სურს თავისი წვლილი შეიტანოს საერთო მუშაობაში, გარიყულია ცალკე და განმარტოვებული. ის თვითონ იწყებს და თვითონვეათავებს. არ არის ტრადიცია, არ არსებობს ერთი ძლიერი შეუწყვეტელი მიმდინარეობა, რომელსამე სამოქმედო დარგში. ამით აიხსნება, სხვათა შორის, ის, რომ ჩვენი ცხოვრების ბევრს მხარეებს დიდი ცვლილება არ ეტყობა: არ ვიცით, რა აკეთეს მამებმა, მომავალ თაობას არ ეცოდინება, რას ვაკეთებთ ჩვენ და ცხადია, თუ რომელიმე შრომა არ ემყარება წინანდელ გამოცდილებას, ასეთი მდგომარეობა შეუძლებელია. უნდა ვიცოდეთ ყველა ის, რაც დაწერილა და გაკეთებულა. ამისათვის კი საჭიროა ბიბლიოგრაფია, ბიბლიოგრაფია რაც შეიძლება სრული და უნაკლული.

ავერ რამდენიმე ხანია, რაც პეტერბურგის უნივერსიტეტთან არსებული ქართული სამეცნიერო წრე შეუდგა საბიბლიოგრაფიო კრებულის შედგენას და გამოცემას. ბევრი ხელის შემშლელი პირობა გადაელობა წრეს, რომ კრებული რაც შეიძლება მალე და უნაკლულო შეედგინა, მაგრამ პირველი ცდა მაინც კარგად მიმდინარეობს: წრე მალე დაასრულებს თავის მუშაობას და განზრახული კრებული შეადგენს ამ წრის საუკეთესო შრომას და თან იგი მშვენიერი საჩუქარი იქნება ქართველი საზოგადოებისადმი მიძღვნილი.

საბიბლიოგრაფიო სარჩევში თავმოყრილი იქმნება ყველა მასალა, რომელიც განხეულია ყველა ქართულ დრო გამოშვებით გამოცემაში, დღიდან მისი დაარსებისა 1910 წლამდე. მასშივე იქმნება მოქცეული აგრეთვე ყოველივე, რაც კი დაწერილა საქართველოს შესახებ რუსულსა და ევროპულს ენებზე.

ჯერ ის მასალა, რომელიც შეჰკრიბა წრემ, არ არის მთლად დაწყობილი და დალაგებული, მაგრამ წინასწარმა მუშაობამ უკვე გამოარკვია (და როცა წიგნი დაიბეჭდება, ყველასთვის თვალსაჩინო და ცხადი იქნება), რომ ის საკითხები, რომელიც ჩვენს პრესაში დღეს საჭიროოროტოა, კარგა ხანია, რაც გადაწყვეტად დაუყენებიათ და ზოგჯერ უფრო კარგად, ვიდრე ახლა. ცხადია ისეთი მოვლენა, რომ, მაგ., ზოგიერთ უკვე ჩაწერილ ხალხურ ლექსს ხელ-მეორედ სწერენ და მეორედ ჩაწერილ ლექსს ახლად ჩაწერილად ასაღებენ და სხვა და სხვა. ერთი სიტყვით, არ ვიცნობთ მამების ნააზრევს და რაკი არ ვიცნობთ, გვგონია, არაფერი იყო გაკეთებული. სხვაფრივაც გავშინჯოთ: ვსთქვათ, რომელსამე მწერლის შესწავლა გსურთ. სად უნდა ეძიოთ მისი ნაწერები? თვით იმ მწერალსაც რომ ჰკითხოთ, განა ის კი შესძლებს დანაძღვილებით გიჩვენოს გამოცემა, წელი და ნომერი? თვითონაც რომ უნდოდეს, ვერ მონახავს, სად რა უწერია. ან ვსთქვათ, თქვენ გინდათ გაიგოთ არსებობს თუ არა რომელიმე უცხო მწერლის თარგმანი ქართულად. ვის უნდა ჰკითხოთ, სად უნდა ეძიოთ? ქართული სამეცნიერო წრის საბიბლიოგრაფიო წიგნი სწორედ შეავსებს იმ ნაკლს, რომელიც დიდი ხანია არსებობს ამ მხრით და ქართველ მკითხველს, მწერალს და საზოგადო მოღვაწეს ბევრად გაუადვილებს სამოქმედო მოღვაწეობას, გააღრმავებს მის აზროვნებას და გააფართოვებს მის მხედველობის სფეროს.

რადგან წრის მიერ შედგენილ საბიბლიოგრაფიო კრებულში მოქცეული იქმნება 1910 წლიც, საჭიროა, შემდეგი წლების სარჩევიც შესდგეს. მაგრამ რადგან სამეცნიერო წრეს სხვა საქმეებიც ბევრი აქვს, ეს ერთი, და რადგან, მეორე მხრით, ეს საქმე, ე. ი. სარჩევის შედგენა პირდაპირი მოვალეობაა თვითოეული რედაქციისა, ამიტომ მივმართავთ ყველა დრო გამოშვებით გამოცემების რედაქციებს, შეადგინონ ამ წლის ბოლოს სარჩევი თავის ორგანოებში მოთავსებული მასალისა ამ ორი უკანასკნელი წლის განმავლობაში, შემდეგში კი აუცილებლად ყოველ წლივ გამოსცენ ხოლმე ასეთი სარჩევი.

რაც შეეხება წიგნებს, მათი ბიბლიოგრაფიის შედგენა უნდა სხვა გვარად მოეწყოს. აქამდის სამწუხაროდ, ისეთი მდგომარეობა იყო, რომ რომელსამე ქართულს წიგნს პეტერბურგის საჯარო წიგნთსაცავში ან სააზიო მუზეუმში უფრო ადვილად მოვიდა კაცი, ვიდრე ტფილისში ან ქუთაისში. ასეთი ანორმალური მდგომარეობა ეხლავე უნდა ავიცილოთ თავიდან. ამისათვის ერთად ერთი საშუალებაა, რომ გამომცემლებმა სამი ცალი თავისი გამოცემისა დაუთმონ ეროვნულ მუზეუმს (ორი ტფილისისა და ერთიც ქუთაისის განყოფილებისათვის). სანამ მუზეუმის შენობა მზად იქმნებოდეს, გამოცემანი უნდა ეგზავნებოდეს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას. რაკი წიგნებს, ამნაირად, თავს მოუყრით ერთ ადგილას მათი ბიბლიოგრაფიის შედგენა წლის ბოლოს ადვილია და ამ საქმეს ვგონებთ, იკისრებს თვით საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებაც.

ეს არის ჩვენი თხოვნა, რედაქციებისა და გამომცემლებისადმი მიმართული. იმედი გვაქვს, რომ ამ საკითხის შესახებ თვითეული გამოცემა მსჯელობას იქონიებს, ჩვენს თხოვნას შეასრულებს და ამგვარად ქართული მწიგნობრობის საქმეს დიდ სამსახურს გაუწევს.

პეტერ. უნივერსიტეტის ქართველ სტუდენტთა სამეცნიერო წრის გამგეობის თავმჯდომარე **ა. შანიძე.**
წრის ხელმძღვანელი

**ივ. ჯავახიშვილი.**

P. S. ყველა ქართულ ჟურნალ-გაზეთებსა ვთხოვთ ეს მოწოდება გადაბეჭდონ და ჩვენს თხოვნას ჯეროვანი ყურადღება მიაქციონ.

## პროფესორ ივ. ჯავახიშვილის ლექცია

(დასასრული *)

ოქრომჭედლობის საუკეთესო ნიმუში ანჩისხატის ›არები›, რომელიც ეკუთვნის ბექას პიზელს შესანიშნავ ოქროს მჭედელს. დიდად განვითარებული იყო ოქრომჭედლობა საქართველოში. აზრია გავრცელებული თითქო ქართული ხელოვნება XIII საუკ. დაცემულიყოს. მაგრამ ეს შემცდარია. როცა საქართველო თავისუფლად ამოისუნთქავდა, ხელოვნებაც განახლდებოდა ხოლმე. ამის მაგალითია შესანიშნავი ძეგლი XV საუკ. რომელიც ინახება თ. გიორგი ამილახორის სახლში. ვასაოცარი ხელოვნების წმ. გიორგის ჯვარია, სალიტანიო ჯვარი. ოქრომჭედლობა ეცემა მე-XVII და XVIII საუკ. საზოგადოდ XVI და XVII საუკ. ქართულ ხელოვნების დაცემის ხანაა.

ქართულ ეკლესიებში აღმაშენებლის ან ქანდაკება იყო ან სურათები. ამ მხრივ შესანიშნავია საგვარეულო ეკლესიები, რომელშიაც მოიპოებოდა მრავალი მხატვრობა. XIX საუკ. მრავალი ძეგლი დაიღუპა XX-შიაც ასე იქნება, თუ არ მივაქციეთ ყურ ადღება. ერთად ერთი წყარო ქართულ ტანისამოსის შესასწავლად ეს დარჩენილი ძეგლებია, და ისიც დაიღუპება თუ დროზედ არ მივეშველეთ.

უძველესი ნაშთია VII საუკ. ჯვარის მონასტრის ქანდაკება, რომელიც გვისახავს სტეფანოს პატრიკოსს. მას გრძელი წამოსასხამი აქვს წამოსხმული. იმდენზედ გრძელი სახელოები აქვს ამ წამოსასხამს, რომ თითქმის მუხლებამდის უწევს, მაშასადამე ეს წამოსასხმელია და არა ჩასაცმელი. წამოსასხამი შემკულია ყვავილოვანი არშიებით. წამოსასხამს უეჭველია მარგალიტები ჰქონდა შემოვლებული. აცვია კვართი—გრძელი პერანგის მსგავსი ჩასაცმელი. აქვს გაკეთებული პოდირი ფეხზე მაღალ ყელიანი ფეხსაცმელები. თავსაბურავი პირველ ხანებში არა ჰქონდათ. ასეთი თავსაბურავი პირველად ატენის სიონის ეკლესიის ქანდაკებაზედ მოიძებნება. გრძელ სახელოებიანი წამოსასხამი გავრცელებული იყო VII, VIII და X საუკუნეში. ამგვარი წამოსასხამები ეხლაც არის დაღესტანში გავრცელებული. აღმაშენებელთა მხატვრობის უძველესი ძეგლი გიორგი ჩორჩანელის სურათია ზარზმაში, ხოლო მეფეთა უძველესი სურათი ბაგრატ IV სურათია ზარზმაში და ატენში.

ნაოჭიანი ტანსაცმელი ატენის ქანდაკებისა, დავით აღმაშენებლის და ბაგრატის ტანთსაცმელი სრულიად ბიზანტიურია. ტოტებიანი გვირგვინი ბიზანტიური როდია. ერთად ერთი ჯვარიანი გვირგვინის მაგალითი გიორგი III სურათზეა.

გვირგვინზე ჯვარის გაკეთების უფლება მარტო კეისრებსა ჰქონდათ. მაგრამ ჩვენი მეფეები ჯვარს არავითარ განსაკუთრებულ მნიშვნელობას არ აძლევდნენ. ოთხ-ტოტიანი გვირგვინი გიორგი ლაშაისა და გადაკეცილი სახელოები XV საუკუნეში გვხვდება. ამავე დროში გვხვდება მოკლე ტანისამოსი მუხლამდის, დიდი და სწორი ხმალი.

იმ დროს როცა საქართველოში გამეფებული იყო ბიზანტიური ტანსაცმელი სომხები იცვამდნენ სპარსულად, ეს ამტკიცებს მას, რომ საქართველო დასავლეთისაკენ ისწრაფოდა, მაშინ როდესაც სომხეთი უფრო აღმოსავლეთისაკენ იწევდა. მე-XIII, XIV და XV საუკუნეში გაბატონებული იყო ბიზანტიური ტანთსაცმელი, ხოლო XVII საუკუნიდან უკვე შემოდის სპარსული ტანთსაცმელი.

პროფესსორმა თავისი ლექცია იმით დაათავა, რომ მოუწოდა საზოგადოებას შეერთებულის ძალ-ღონით ყოველივე ღონე დასდვან სა გადარჩენილი ძეგლები შეინარჩუნონ. თუ ეს ძეგლები არ გვექმნა, არც ერთ სიტყვის ფოტოგრაფიულ სურათებსაც არავინ დაუჯერებს, რომ ასეთი დიდებული ხელოვნების ნიმუში ჰქონდა საქართველოსო. ჩვენ ძალიან გვიყვარს ზედ მეტი ამაყობა და თავის მოწონება ჩვენის წარსულის ნაშთით, მაგრამ ამ ნაშთის პატივისცემა კი სრულიად არა გვაქვსო. პროფესსორი მხურვალე ტაშისცემით დააჯილდოვა და რამოდენიმეჯერ გამოიწვია საზოგადოებამ, რომელიც ოთხი საათის განმავლობაში პირდაპირ სულ განაბული ისმენდა ამ საყურადღებო ლექციას.

*) იხ. „სახ. გაზ." № 801.

## ამნისტიის გარშემო

ციხეთა მთავარმა მმართველობამ ზომები მიიღო იმის გამოსარკვევად თუ რომელ დატუსაღებულთ შეიძლება შეუმცირდეს სასჯელი. თუმცა ციხეთა მთავარ მმართველობაში საკითხი ამნისტიის შესახებ პრინციპიალურად არ აღძრულა, მაგრამ, ამის და მიუხედავად, მმართველობის უფროს ს. ს. ხრულევს თავის ინიციატივით გუბერნატორებისთვის დაუგზავნია ცირკულიარი, რომელშიაც სთხოვს არა უგვიანეს პირველ თებერვლისა შეატყობინონ სია იმ დატუსაღებულთა, რომელთა ბედის შემსუბუქება მათ შესაძლებლად მიაჩნიათ. შეგროვილი მასალა, თუ ამნისტიის საკითხი გადასწყდა, იუსტიციის მინისტრს წარედგინება.

მინისტრთა საბჭოს სხდომაზე, გზათა მინისტრი რუხლოვი და სახელმწიფო კანტროლიორი ხარიტონოვი წინააღმდეგნი იყვნენ, რათა 300 წლის დღესასწაულის აღსანიშნავად მოხელეებს 5 წელიწადი ჩაეთვალოთ პენსიის დამსახურების ვადაში. ისინი მოითხოვდნენ ეს ჯილდო მისცემოდათ არა ყველა მოხელეებს, არამედ ზოგიერთს. სამინისტროს ხელმძღვანელთ მინისტთა საბჭო ამას არ დაეთანხმა, რადგანაც ეს გარემოება თვითნებობას გამოიწვევდა. მინისტრთა საბჭომ სასურველად მიიჩნია მუყაითი და საქმის მცოდნე მოხელენი რიგს გარეშე დაჯილდოვებული ყვნენ ჩინებით, ორდენებით, და ზოგიერთ შემთხვევაში ფულითაც. მინისტრთა საბჭო ამ ახლო მომავალში შეიმუშავებს მოწყალებათა და უპირატესობათა გეგმას.

გაზეთები აღნიშნავენ, რომ ამნისტია მხოლოდ პოლიტიკურ დამნაშავეთ შეეხებაო. როგორც „ვეჩერნეე ვრემია" სწერს სავსებით მართალი არ არისო. როდესაც მინისტრთა საბჭოში აღძრული ამნისტიის საკითხი, იუსტიციის მინისტრს მოხსენება წარუდგენია, სადაც აღნიშნული იყო, როგორც სისხლის სამართლით დასჯილნი, აგრეთვე პოლიტიკური დამნაშავენიც. პროექტი ფრიად ფართოდ არის შედგენილი და უახლოვდება 1904 წლ. 11 აგვისტოს უმაღლეს ბრძანებას. საყოველთაო ამნისტიაზე სიტყვაც არ ყოფილა ნათქვამი.

გაზეთებში ისიც იყო ნათქვამი, ვითომ მინისტრთა საბჭოში იუსტიციის მინისტრის პროექტს უკმაყოფილება გამოიწვიოს. ეს მართალი არ გამოდგა. მინისტრთა საბჭომ ერთხმად მიიღო პროექტი მინისტრის რედაქციით.

## ნინოობა თელავში

ეს დღე თავის დიადი მნიშვნელობით უნდა განირჩეოდეს სხვა ჩვეულებრივი უქმე-დღესასწაულებსა და სახელწოდება-დღეობისაგან. ამ დღეს სულ სხვანაირად უნდა ვატარებდეთ, რაიმე სადამოს თუ კრების გამართვით, რომლის მოთავეობა და მოწესრიგება ჩვენ ქალებს ჰშართებთ, მაგრამ დღეს, 14 იანვარი, ე. ი. წმ. ნინოს ხსენება ერთმანეთის მილოცვასა და სადილ-ლოტოებში გამოიხატება; ამაზე შორს ჯერ ვერ წასულან საზოგადოდ ქართველი და მათ შორის თელაველი ქალებიც...

კიდევ კარგი **თელავის წმ. ნინოს დედათა სასწავლებელში** ყოველწლივ დღესასწაული იმართება ხოლმე და ეს აცხოველმყოფელებს და ასხვაფეროვანებს თელავის საზოგადოებრივ და რასაკვირველია უფრო მოსწავლეთა ცხოვრებას.

წელსაც, 14 იანვარს ბრწყინვალედ იდღესასწაულა ამ სასწავლებელმა. აქვე არის მეფე ერეკლის ყოფილი სასახლის კარის წმ. ნინოს ეკლესია, რომელშიაც შესრულებულ იქმნა ცისკარი და წირვა. მხოლოდ პარაკლისი—თვით სასწავლებლის ყოფილ სამეუფეო დარბაზში, რომლის გუმბათიანი შიგ სვეტად დაყოფილ და საღ-გადაქნილი კედლები თითქოს უტყვად გესაიდუმლოებიან და თქვენ ოცნება შორს-შორს გადაქვს...

პარაკლისის შემდეგ ამავე დარბაზში გაიმართა სალიტერატურო—სამუსიკო დილა. მოსწავლე ქალები თამამად და მშვენიერის დიქციით კითხულობდნენ ლექსებს რუსულ, ქართულ, სომხურ და ფრანგულ ენაზე, როიალზე გაბედულად ასრულებდნენ სხვა და სხვა ნომრებს და მგალობელთა გუნდი ასხვაფერავებდა დილის შინაარს, რომელიც მდიდრულად იყო შედგენილი, დასასრული ნომერი ჰქონდა ჩასაფიქრებელი.

ბოლოს საუკეთესო მოსწავლეთ, რომელნიც საჩუქრებით და ქების ფურცლით გადასულიყვნენ შემდეგ კლასებში, დაურიგეს კუთვნილი ჯილდოები.

სალიტერატურო დილამ საზოგადოდ კარგად ჩაიარა და დამსწრე საზოგადოებაც ნასიამოვნები დარჩა, რისთვისაც მადლობის ღირსნი არიან, როგორც მასწავლებელთა კორპორაცია, ისე სასწავლებლის უფროსი.

**დავიწყებული.**

## სხვა და სხვა ამბავი

✦ ამბობენ, რომ კოკოვცევს მინისტრთა საბჭოში განსახილველად შეაქვს საკითხი „ცნობების მიმწოდებელ ბიურ-ის" გაუქმების თაობაზე.

✦ რომანოვთა გვარეულობის სამასი წლის თავზე, მემარჯვენეებს განუზრახავთ დროშებით გაიარონ ნევის პროსპეკტი.

## წერილი ბაქოდან

ორშაბათი, 14 იანვარი 1913 წლისა ბაქოს ქართველებისათვის საისტორიო დღეა; ამ დღეს პირველად სწირეს ქართულ ენაზე „ფლოტის" ეკლესიაში. სწირა ორი მღვდლის თანადასწრებით აქაურ გიმნაზიის სამღვთო სჯულის მასწავლებელმა ერმალოზ კანდელაკმა, რომელმაც მგძნობიარე სიტყვა წარმოსთქვა. წირვის შემდეგ გადახდილ იქმნა სავედრებელი პარაკლისი. წირვისა და პარაკლისის დროს გალობდა ქართულ გალობის მოყვარულთა გუნდი, რომლის შესახებაც უნდა ითქვას, რომ ხორო ცოტა არ იყოს ცუდ შთაბეჭდილებას ახდენდა როგორც საგალობლების შესრულებით, ისე კილოს გადმოცემითაც. მით უმეტეს, რომ რუსულ გაზეთებში იყო გამოცხადებული და ქართველების გარდა სხვა ეროვნებათაგანაც ბლომად დაესწრნენ. გვიკვირს რად არ ისარგებლეს ბ-ნ კ. ფოცხვერაშვილის ბაქოში ყოფნით, რომელსაც ჩვენა გვგონია ძალ-ღონეც და ცოდნაც შესწევს ცოტა ხანში საუცხოვო გუნდი მოამზადოს, და თავისი ფრიად საყურადღებო საკუთარი საგალობლებიც აქვს შედგენილი. ჩვენის აზრით ეკლესიაში გალობას, ჩვენი კულტურულ სხვებისათვის გაცნობაში თითქმის იმდენივე მნიშვნელობა აქვს, რამდენიც ქართულ სალამოებს, თუ არ მეტი. ამიტომ ვურჩევთ შემდეგში უკეთ მოეპყრან საქმეს და მოუმზადებლად აღარ იგალობონ. „ფლოტის" ეკლესია ხალხით იყო სავსე.

* *
*

აქვე უნდა აღვნიშნოთ შემდეგიც: აქაურ სასწავლებლების მმართველ გამგებლები უხერხულ მდგომარეობაში იყვნენ ჩაცვივნულნი, რადგან არ იცოდნენ, ედღესასწაულათ ნინოობა, თუ არა. და ვერც კავკასიის ოლქის მზრუნველის შეკითხვას ჰბედავდნენ. როგორც იქმნა გამოჩნდა

---

უნებლიედ აშკარავებს კლასიურ გრძნობას და ამ გრძნობის ძალდატანებით ცდილობს თავის წოდებრივ პოზიციების დაცვას. ასე რომ ერთის მხრით იგი განწირული გმირია, მეორე მხრით ვიწრო ანგარებით შეპყრობილი წოდებაა, რომელიც თავის გამორჩენაზე ჰფიქრობს. და რაკი გმირია, მსვერპლზედ უნდა ილაპარაკოს. ლაპარაკობს კიდევაც, ხოლო არამც თუ არ ივიწყებს ანგარიშებს, პირ-იქით საბოლოვოდ მიაგებიანად აწესრიგებს თავის საქმეებს.

დიმიტრი ყიფიანის აზროვნება ამ მხრივ სავსებით იყო შეთანხმებული თავად-აზნაურობის აზროვნებასთან. იგი ნამდვილი შვილი იყო თავის წოდებისა და მეცხრამეტე საუკუნის მოღვაწეთა შორის მე არ მეგულება სხვა ვინმე მოღვაწე, რომელიც ისეთის მხურვალებით, გულწრფელობით იცავდა და ელალიავებოდა თავად-აზნაურულ ინტერესებს. ეს ჩვენთვის უცილებელი გახდება, გავიცნობთ რა მის ვრცელ მოხსენებას, რომელიც შეიმუშავა თავად-აზნაურობის დავალებით და წარუდგინა მას სახელმძღვანელოდ და მთავრობასთან წარსადგენად.

„ერთს ძველს შენობაში უძველეს დროიდგანვე ერთი პატიოსანი და ძველი გვარის სახლობა სცხოვრობდა. ასე იწყებს თავის მოხსენებას დ. ყიფიანი. თუმცა ეს ოჯახი ღარიბად სცხოვრობდა, მაგრამ ბედის ცვალებადობისაგან ასე თუ ისე უზრუნველი იყო. იყვნენ უკეთ მომავალის მოლოდინში. მაგრამ ერთ დღეს ხუროთმოძღვრებმა უთხრეს, შენობა უნდა დასცალოთო, შიშია არ ჩამოინგრესო. გაძის რამდენიმე ხანი და მართლაც ხან ერთ კედელს დაეტყო ზიანი, ხან მეორეს და ბოლოს დარწმუნდნენ, რომ ამ ძველ შენობის დაცლაა საჭირო, რადგან მისი დანგრევა მოსალოდნელი გახდა. სად შეაფარონ თავი იმ ოჯახის წევრებმა? დასცალეს შენობა იმ იმედით, რომ ღმერთი და ხელმწიფე უნუგეშოდ არ დასტოვებს. აი როგორც ეს ოჯახი იყო შეშინებული, კიდევ უფრო მეტად ვიყავით შეშფოთებულნი ჩვენც იმ ამბით, რომ ინგრევა ჩვენი ბატონ-ყმობა. თუმცა აშკარა იყო ამ ხმების სიმართლე, მაგრამ ჩვენ მაინც არა გვჯეროდა ეხლანდელი ჩვენი წესი და დამოკიდებულება გლეხებთან უძველეს დროიდგანვე არსებობს და ასე ადვილად რა ნაირად უნდა მოისპოს! ხოლო, როცა ამ ცვლილების შესახებ დაბეჯითებით იწყეს ლაპარაკი და ჩვენი სულის სიმშვიდეც უფრო და უფრო ირღვეოდა, როდესაც დავრწმუნდით მთავრობის წარმომადგენლებთან ლაპარაკით და რუსეთიდან მოსულ ცნობებით, რომ საქმე ჩვენამდინაც აღწევს, მაშინ გარემოება გავითვალთვალეთ ჩვენი ღირსების მიხედვით, დავიწყეთ ბჭობა როგორც შინაურულად, ისე სამაზრო კრებებზე. მართალია, ამ კრებების და ბჭობის კვალად არ დარჩა არავითარი საბუთი, რადგან ჩვენ ყოველთვის ვერიდებოდით წერილობითი გამოგვეთქვა ჩვენი აზრი—იმ საერთო უბედურობაში ერთმანეთსაც კი აღარ ვენდობოდით. ასე გავატარეთ ოთხი წელიწადი და ამ ხნის განმავლობაში, ცოტა არ იყოს, შევაჩვიეთ თავი ამ მოულოდნელს და ფრიად სამწუხარო საქმეს. და შემდეგ ამისა ვიწყეთ ზრუნვა მის კეთილად დაბოლოვებისათვის. მთავრობის მოწვევით მთელი გუბერნიის მემამულეებმა ტფილისში მოვიყარეთ თავი და შევადგინეთ კანონიერი კრება 25 აპრ. 1862 წ."

აი უტყუარი სურათი თავად-აზნაურობის სულის განწყობილებისა. ამ განწყობილებას სავსებით იზიარებდა დ. ყიფიანიც. მას ცალკე არ გამოუყვია თავისი თავი. რაც სხვას გამოუცდია, მის გულსაც ხვდებოდა. ყველანი მოულოდნელ ცვლილების წინ გაშტერებულნი იყვნენ, დაშინებულნი. უბედურება ახლოვდებოდა, ხსნა კი არსად სჩანდა. გული ისეთი მწუხარებით იყო შეპყრობილი, რომ ლაპარაკსაც კი ვერ ჰბედავდნენ, სიტყვით კიდევ რასმეს იტყოდნენ, ხოლო წერილობით თავის აზრს არ ჰსახავდნენ, ერთმანეთს აღარ ენდობოდნენ და შიში ჰქონდათ, ვაი თუ ვინმემ ბოროტად გამოიყენა რაიმე წერილობითი საბუთი. მაგრამ ადამიანი ყოველ უბედურებას შეეჩვევა, თუ იცის, რომ მას თავს ველარ აარიდებს. თავად-აზნაურობასაც მეტი გზა არა ჰქონდა. უნდა შესულიყო ამ საქმის ვარაუდში მით უფრო, რომ ეს მთავრობის სურვილიც იყო და აბა მთავრობის სურვილისთვის როგორ არ უნდა გაეწია ანგარიში. მაშ რა გადასწყვიტეს ამ დიდ კრებაზედ? რა მოხდა? მივმართოთ ისევ მოხსენებას:

„რა მოხდა? მოხდა თათბირი იმგვარ მნიშვნელოვან საქმეზე, რომლის მსგავსი არამც თუ ჩვენს დროში არა გვინახავს რა, ჩვენს მამა-პაპათა ნაამბობშიაც არ გაგვიგონია. **რა გავაკეთეთ?** ის გავაკეთეთ, რაც შეეფერებოდა საქართველოს პირველ შვილებს, რომელთაც ძველმა გმირულმა დრომ უანდერძა მადალ-ზნეობა და რომელთა გულში ღვივის მეომართა გრძნობა—ღვთის ნებით, უშიშრად, აუჩქარებლივ შევხედეთ იმ საქმეს, რომელიც, აშკარა იყო, ჩვენ და ჩვენს შთამომავლობას უბედურების მეტს არას გვიქადდიდა. **რა გამოვიდა აქედამ?** ისა, რომ კრებაზე დამსწრე არც ერთი ქართველი მემამულე წყრომის და უსიამოვნების გრძნობით არ იყო შეპყრობილი. ვერც ეგოიზმმა და პირადი ინტერესებისადმი ლტოლვილებამა, ვერც გამოურკვეველ მომავალის წინაშე შიშმა, ვერც ჩვენმა—ესეც უნდა ითქვას, გაუნათლებლობამ და უსწავლელობამ, არაფერმა მსგზავსმა ამისმა არ შეგვიშალა ხელი. და როდესაც საქმე გავარჩიეთ, ერთობრივ, როგორც სამმა და ოთხმა მოსიყვარულე ძამ, ერთ ხმად წამოვიძახეთ: ჩვენს გლეხებს მივანიჭოთ თავისუფლება! დეე მეცნიერებმა და განათლებულებმა გვითხრან: რომელი დაწინაურებულ ქვეყანაში მსგზავსი რამ საქმე მეტის დამშვიდებით და მეტის ღირსებით გადაუწყვეტიათ. მერე რა საქმე, კარგად დააკვირდით მას".

სწორეთ რომ შესანიშნავი აღსარებაა. ამაზე ითქმის, აი დოკუმენტი, სადაც დრო და მისი ვითარებაა აღბეჭდილი, აი სიტყვები, სადაც გაცილებით მეტია ნათქვამი, ვიდრე სჩანს პირველის შეხედვით. განა აქ გამოსახული ფსიხიკა არა ჰგავს იმ ავადმყოფის ფსიხიკას, რომელსაც დოსტაქრის დანისა ეშინიან, რომელიც სასტიკად ეწინააღმდეგება ოპერაციას, არც კი სჯერა, რომ მის გადარჩენისთვის საჭიროა ამგვარი ოპერაცია, ხოლო თანდათან ქედს იხრის აუცილებლობის წინაშე, რწმუნდება რომ სხვა გზა არა აქვს და მერე, როდესაც საბოლოვოდ დაიწმუნდება ამაში, თავსაც იწონებს, მიყურეთ რა გულადი ვარ, მე თითონ მინდა, რომ მოხდეს ოპერაცია გმირულად ავიტან და გავაკვირვებ კიდეც ქვეყანას ჩემის გულადობით და გმირობითო. მართლაც, განა გაბედული გადაწყვეტილება არ არის: დეე მონებიც იყვნენ თავისუფალნი! განა არ არის ეს თავგანწირულება, მსხვერპლი, ქვეყნის ირ-ვარმისადმი სიყვარული? განა მეტის ღირსებით სადმე გადაწყვეტილა ამგვარი საგმირო საქმე? და ამ სიტყვებს რომ კითხულობს კაცი მართლა ჰგონია, რომ საქმე სწორედ ასე მოხდა—სთქვეს: მიენიჭოთ თავისუფლება, ჩვენ არა გვინდა-რა, ჩვენ კმაყოფილნი ვართ, რომ ძველ გმირთა სულგძელობამ, წემკიდრეობით გადმოცემულმა, ასე კეთილშობილად აამეტყველა ჩვენი ენა ჩვენთვის ამ გრძნობის შეგნებაც ბედნიერებაა და სხვას არას დავეძებთ. ნამდვილად კი საქმე ასე არ იყო. მოხსენებაში, სადაც დაწვრილები არის ნაამბობი ყოველივე, როგორც მოხდა, რა ითხოვეს და რა უნდოდათ სამაგიეროდ, მაღალი სტილი და კეთილშობილური კილო ბოლომდე არის დაცული. მაღალის და მჭერმეტყველ სიტყვებით ზნეობასა და მსხვერპლზეა ლაპარაკი, ხოლო აქვე გვერდით დაწვრილებითი ვაჭრული ანგარიშებიცაა წარმოდგენილი. ეს უკვე ვიცით ზემო ნათქვამიდამ, მაგრამ მეტი არ იქნება მოხსენების ამ მხარესაც გავეცნოთ. მეტად საინტერესო ისტორიული დოკუმენტია!

არავის ეგონის, რომ ამ ხასიათის აზროვნება და მოქმედება მარტო ქართველ თავად-აზნაურობის დამახასიათებელი თვისება იყო. ქვეყნიერებაზე არც ერთ წოდებას და არც ერთ კლასს ნებაყოფლობით არ დაუთმია თავისი პოზიციები. ისტორიკოსები აღფრთოვანებით იხსენიებენ საფრანგეთის კონვენტს, სადაც დიდებული მემამულენი საფრანგეთისა რევოლუციის დასაგვირგვინებლად და გასამარჯვებლად ხელს იღებდნენ თავიანთ საკუთრებაზე. მაგრამ ავიწყდებათ, რომ ამ მემამულეთ მაშინ სხვა გზა არა ჰქონდათ, რადგან რევოლუციამ უკვე დაისაკუთრა მათი საკუთრება. კეთილშობილური სიტყვა კი, კიდევ მეტად ლამაზი და მეტყველი, ბევრი ითქვა იმ შფოთიან ხანაში.

ჩვენში რევოლუცია არ მომხდარა. მიწებიც არავის დაუსაკუთრებია. ჩვენში ბატონ-ყმობის საქმე მთავრობის ხელში იყო. თავად-აზნაურობა კი მთავრობის ერთგულია. მთავრობის წინაშე გმირწინაპართა ენით უნდა ელაპარაკნა, რათა განსაცდელს ღირსეულად დაჰხვედროდა მთავრობის თვალში. მაგრამ მარტო ამ ქრელ ენით არას გახდებოდა. საჭირო იყო მედგარი დაცვა წოდებრივ ინტერესებისა. და გამოვიდა რაღაც შეუსაბამო და თითქმის რომ გულწრფელობას მოკლებული. მართ-

ერთი „გულადი“ ადამიანი, სახელდობრ, სახალხო სკოლების დირექტორი ბ-ნი თხორჟევსკი, რომელმაც გაბედა შეკითხვა და მხოლოდ ამის შემდეგ მიიღეს ოლქის მზრუნველისაგან პასუხი: ნინოობას უქმობს ყველა კავკასიის სასწავლებელი და თქვენც უნდა იუქმოთო. მხოლოდ ამ პასუხის შემდეგ, თავისუფლად ამოისუნთქეს და სწავლისაგან გაანთავისუფლეს მოწაფეები.

***

14 იანვარს აქაურ ქართულ სკოლაში მოწაფეთათვის გაიმართა შობის ხე. სკოლის ესტრადიდან პაწაწკინა ქალების და ვაჟების გუნდმა მშვენივრად შეასრულეს „სამშობლო“ ა. ყარაშვილისა, „ირემა“ და სხვა სიმღერები. აგრეთვე საუცხოვო შთაბეჭდილება მოახდინა ლექსების წაკითხვამ და შემდეგ შობის ხის გარშემო ცეკვამ. ბ-ნ. ილია ნაკაშიძემ ბავშვებს წაუკითხა ანდერსენის ზღაპარი „არანტი“. შემდეგ ბავშვებს დაურიგეს საჩუქრები. მათ აღტაცებას საზღვარი არა ჰქონდა. ნამდვილი გულწრფელი უდარდელი მხიარულება სუფევდაა მთელი საღამოს განმავლობაში.

**კორდელი.**

# მოწერილი ამბები

**სოფ. მარტყოფი.** (გარე კახეთი) ქრისტიშობისთვის გასულს შესდგა წლიური კრება მარტყოფის **საკრედიტო ამხანაგობისა.** კრებამ, რომელიც რაოდენობით კანონიერი იყო, ანგარიში 1912 წ. ერთხმად მიიღო... წლის განმავლობაში საწარმოო თანხა ეთანაბრებოდა 14500 მან. ამხანაგობა შესდგებოდა 673 სულიდან, ამათგან 6 გარდიცვალა. სარგებელი აღებულია 1257 მან. 64 კაპ. შესანახად იყო შემოტანილი 1510 მან. 40 კაპ. ყველა ხარჯების გარდა წმინდა შემოსავალი იყო 373 მ. 7 კ., შარშანდელით 576 მან. 96 კაპ. აქედან გადადებულია 250 მ. საკუთარ ძირითად თანხად; 200 მ. სათადარიგო; 100 მ. საკუთარ სახლის თანხის გასაძლიერებლად; 70 მ. ერთდროული სასყიდელი გამგეობის წევრებისა და 6 მ. 96 კ. სამკითხველოს გაამნათლებელ მიზნისათვის. ხარჯები, სახელმწიფო ვალის სარგებლით 883 მ. 32 კ.

საგულისხმიერო სხვათა შორის ამ წლიურ კრების გადაწყვეტილებისა იყო ის, რომ კრებამ ერთხმად მიიღო წინადადება გამგეობისა მარტყოფში კოოპერატიულ ნიადაგზე **მერძეობის ამხანაგობის** მოწყობისა და **ფარჩეულობის -მაღაზიის** გახსნისა. პირველი ამხანაგობისათვის თანხა 5000 მან. უნდა ეთხოვოს გრძელ ვადიანი სახელმწიფო ბანკს და ფარჩეულობისათვის კი გადადებულია ნაწილი საკუთარის თანხისა მარტყოფის—ამხანაგობისა, რომელიც აპრილისათვის იქნება არა ნაკლებ 5000 მან. ამის გარდა საკრედიტო თანხის გასაძლიერებლად სახელმწიფო ბანკს ძირითად თანხად კიდევ ეთხოვება 1000 მან. და მოკლე ვადიანი 7000 მან., ისე რომ მთელი ჯამი ვალისა წინანდელებით და მერძეობისათვის თანხით იქნება 25000 მან.

აქ მოყვანილ ანგარიშიდან თვალნათლივ სჩანს, რომ საკრედიტო ამხანაგობა აფართოვებს მოქმედების ასპარეზს. გამგეობამ უკვე გამონახა შესაფერი დიდი შენობა და ამ 2—3 თვეში ნოაწყობს ყოველივეს საზოგადო კრების მიერ მინდობილ საქმეებს. უნდა ვიგულისხმოთ, რომ ამისთანა კეთილ საქმეებს მმართველნი უფრო გაორკეცებულის მხნეობით მოეკიდებიან, რითაც, უეჭველია, ქონებრივად წინ წასწევენ საწყალ გაღატაკებულ გლეხებს...

ვუსურვებთ ყველაფერში წინმსვლელობას და საქმისადმი მუყაითობას.

**უკმაყოფილო.**

# საკანონმდებლო დაწესებულებებში.

სახელმწიფო სათათბიროს სხდომების განახლებისთანავე სხვა და სხვა ფრაქციები შეკითხვების შეტანას აპირებენ. შრომის ჯგუფსა და სოციალ-დემოკრატებს აზრადა აქვთ შეიტანონ შეკითხვა საკატორგო ციხის წესების შესახებ. ამ მიზნისთვის არჩეულია განსაკუთრებული კომისია, რომელსაც დიდ-ძალი მასალა შეუგროვებია. შრომის ჯგუფის მხრით კომისიაში შედიან ვარლამ გელოვანი და კერენსკი; სოციალ-დემოკრატების მხრით კი ჩხეიძე და მანკოვი.

კადეტთა ფრაქციამ შეიმუშავა სახალხო განათლების მინისტრის კაროს მიერ გამოცემულ ცირკულიარის შესახებ; ამ ცირკულიარით იცვლება წესები ბიბლიოთეკების შესახებ, რომლებიც წინად საკანონმდებლო წესით იყო შემოღებული. კადეტთა ფრაქციის აზრით ეს უკანონობაა.

სახელმწიფო საბჭოს კომისიამ, რომელსაც სასოფლო ერობის კანონპროექტი უნდა განეხილა, დროებით მუშაობას თავი დაანება, რადგანაც მინისტრის ამხანაგს ლიკოშინს განუცხადებია: სანამ ახალი მინისტრი მაკლაკოვი კანონ-პროექტს არ გაეცნობა, ვერ შემიძლიან კომისიის მუშაობაში მონაწილეობა მივიღოო.

კანონ-პროექტს ვექილ-ქალების შესახებ სახელმწიფო საბჭო 23 იანვარს განიხილავს.

# ამბოხება ოსმალეთში

**დაწვრილებითი ცნობები.**

თალაათ-ბეისა და ხეჯიბის თანხლებით, ენვერ-ბეი შევიდა დიდი-ვეზირის მისაღებ ოთახში და მოითხოვა ქიამილ-ფაშის ნახვა. როდესაც ქიამილს ხმაურობა შემოესმა, ძიურთუნდა ნაზიმ-ფაშას და სთხოვა: გაიგე, რა ამბავიაო. კარებშივე ნაზიმ-ფაშას შეეხეჩა ენვერ-ბეი, რომელსაც ხელში რევოლვერი ეჭირა.

„ენვერ-ბეი—მიმართა მას სამხედრო მინისტრმა—ეს რა ამბავია? რად გინდა რევოლვერი?“

ჯარსა და ხალხს ომის განგრძობა ჰსურს, თქვენ კი უკანონოდ სთვლიან სამინისტროს განკარგულებას და ამიტომ კაბინეთი უნდა გადადგეს.

ნაზიმ-ფაშამ ზიზღით გასცა პასუხი და ხმაც აუმაღლა. გაისმა სროლა. ტყვია თვალში მოხვდა ნაზიმ-ფაშას. მოკლეს მისი ორი ადიუტანტიც.

შემდეგ ენვერ-ბეი მინისტრთა საბჭოს დარბაზში შეიჭრა და მუქარით მოსთხოვა ქიამილ-ფაშას გადადგომა. ქიამილ-ფაშამ განაცხადა, რომ იგი ემორჩილება ტლანქ ძალას. როდესაც ენვერ-ბეი ქიამილ-ფაშის თხოვნით მიიდა სულთანთან, უკანასკნელმა განაცხადა: კონსტიტუციის ძალით, დიდმა ვეზირმა პირადად უნდა ჩამაბაროს გადადგომის ქაღალდიო. ენვერ-ბეი დაბრუნდა მინისტრთა საბჭოს დარბაზში, დანიშნეს ახალი კაბინეთის სხდომა, რომელზედაც დაადგინეს ძველი სამინისტროს გადადგომა და აცნობეს სულთანს მაჰმუდ-შევქეთ-ფაშის დიდ ვეზირად არჩევის ამბავი, თან მუქარა შეუთვალეს: თუ არ დაგიმტკიცებია, ჩათალეს ლაშქარი სტამბოლისკენ დაიძვრისო.

**ნამინისტრალის ბედი.**

შინაგან საქმეთა მინისტრი რეშიდ-ბეი მოჰკლეს. ფინანსთა მინისტრი აბდურაჰმანი სამხედრო საპყრობილეში ჩასვეს, შემდეგ რა მოუვიდა, არავინ იცის; ამბობენ, მოჰკლესო. დანარჩენი მინისტრები, ნორადუნგიან-ეფენდის გარდა, სამინისტროს შენობაში არიან დატყვევებული. მათ სამხედრო სამართალში აძლევენ, როგორც მოღალატეებს.

**ნორადუნგიანის შორსმჭვრეტელობა.**

ქიამილ-ფაშის კაბინეთის წევრთაგან ყველა დატყვევებულია, გარდა ნორადუნგიან-ეფენდისა (ტომით სომეხია). როდესაც ენვერ-ბეი და თალაათ-ბეი მინისტრთა საბჭოს დარბაზში შეიჭრნენ, დიდ სახელმწიფოების საპასუხო ნოტა ყველა მინისტრისაგან იყო ხელმოწერილი, გარდა საგარეო საქმეთა მინისტრის ნორადუნგიანისა. ენვერ-ბეიმ ჰკითხა მინისტრს: რატომ თქვენც არ მოაწერეთ ხელიო. ნორადუნგიანმა უპასუხა: მე ქრისტიანი ვარ და ადრიანოპოლის დათმობაზე რომ ხელი მომეწერა, მოღალატედ ჩამთვლიდნენო. როდესაც თალაათ-ბეიმ ეს გაიგონა, იმ წამსვე მეზობელ სადგომში დამალა ნორადუნგიანი და განუცხადა თავის მხლებლებს: მე ვარ მისი ფარველიო.

**გაზ. „მატენ“-ის კორესპონდენტის გალახვა.**

დემონსტრაციის დროს ფრანგულ გაზეთის „მატენ“-ის კორესპონდენტისთვის უცემნიათ. ცემის დროს გამხეცებული ბრბო ჰყვიროდა, თურმე:

— დაჰკა ვენიზელოსსაო!

ბ-ნი კინე ძლივს გადარჩენილა.

**კონტრ-ამბოხების მოლოდინი.**

სტამბოლის განაპირა უბანში „აფიცერთა კავშირი“-ს თათბირი მომხდარა, რომელსაც პრინცი საბაჰედინიც დასწრებია. კრებას მსჯელობა ჰქონია მომხდარ ამბების თაობაზე და დაუდგენია: გაიგზავნოს ჩათალჯის პოზიციებზე დეპუტაცია, რომელიც შეატყობინებს ჯარს ნაზიმ-ფაშის მოკვლის ამბავს და წინადადებას მისცემს ლიბერალების ომხრეებს კონტრ-ამბოხების მოსახდენად.

**ოსმალეთის ჯარის მდგომარეობა.**

ნაზიმ ფაშის მოკვლამ თავზარდამცემი გავლენა იქონია ჯარზე. მოსალოდნელია ახალი ამბოხება, რადგან ლაშქარი არ თანაუგრძნობს შეთქმულებს. უკვე გამოცა პროკლამაციები, სადაც ნათქვამია, რომ ახალი სამინისტრო უკანონოდ უნდა ჩაითვალოს, რადგან ენვერ-ბეისა და თალაათ-ბეის მუქარით არის დანიშნულიო. მოსალოდნელია სულთანის ტახტიდან ჩამოგდება, რადგან იგი „ახალგაზდა ოსმალთა“ სმთამაშო ტიკინად გადაქცეულაო.

**ავსტრიისა და გერმანიის როლი.**

როგორც ახლა ირკვევა, ამბოხების მეთაურებს განუწყვეტელი დამოკიდებულება ჰქონიათ ავსტრიისა და გერმანიის საელჩოებთან. შეთქმულობის მოხდენის დღეს ენვერ-ბეის ოთხი საათის განმავლობაში უბაასნია დასახელებულ სახელმწიფოების ელჩებთან. სამინისტროს დამხობის დღეს, შუაღამისას, მაჰმუდ-შევქეთ-ფაშა ავსტრიის საელჩოში მისულა და დილის ხუთ საათამდე დარჩენილა. ავსტრიისა და გერმანიის მთავრობანი ოფიციალურად უარჰყოფენ ამ ამბავს, მაგრამ ინგლისისა და საფრანგეთის გაზეთები დაჟინებით ამოწმებენ ამ ხმის სრულ სიმართლეს.

# ბალკანეთის ომი

**დეპეშები.**

**18 იანვარი.**

**პოდგორიცა.** 16 იანვარს ოსმალეთის ჯარი ტარაბოშიდან თავდასხმას აპირებდა, მაგრამ ჩერნოგორიის ჯარმა უკუ აქცია. ოსმალებმა უწესრიგოდ უკან დაიწიეს. ჩერნოგორელებს მოუკლეს სამი კაცი, 17 დაუჭრეს.

**სოფია.** დროებითი ზავის შეწყვეტა გამოცხადდა. საომარი მოქმედება ორშაბათს საღამოთი განახლდება. მატარებელთა მიმოსვლა ადრიანოპოლის წინ შეაჩერეს. სამხედრო კორესპონდენტებს საომარ მოქმედების თვალყურის დევნება აეკრძალათ.

**ლონდონი.** ნოვაკოვიჩი ებაასა პეტერბურგის სააგენტოს კორესპონდენტს: სერბიის დელეგატები ხვალ პარიზში მიდიან, იქიდან ბელგრადში წავლენ. ნოვაკოვიჩი სწუხს სისხლის ღვრის განახლების გამო, მაგრამ, მისი სიტყვით, ომი აუცილებელია, რადგანაც ოსმალთა სიჯიუტეს მხოლოდ ომი გასტეხსო. სერბია ახალ ომით არაფერს მოიგებს, მაგრამ საჭიროა მოკავშირეთა ძმარის დაჭერა.

**სტამბოლი.** საკომენდატო სამმართველომ ბრძანება გასცა, რათა ყველა ჯარის-კაცი და ოფიცერი 24 საათის განმავლობაში თავის ნაწილში გამოცხადდეს.

# ბალკანეთი და ევროპა

**დეპეშები**

**ვენა.** „ფრემდენბლატი“ სწერს: რა მიმართულებას მიიღებს შემდეგში ბალკანეთის საქმეები გამოურკვეველია, თუ ომი განახლდა, სახელმწიფონი დღევანდელ პოზიციას არ შეიცვლიან და გარეშე მაყურებლად დარჩებიანო.

**ბერლინი.** ოფიციალურის ცნობით, ომის გამო შესამჩნევად იკლო გერმანიის ექსპორტმა ბალკანეთში. სამაგიეროდ იმატა საომარ სურსათის გაზიდვამ.

**ლონდონი.** „ტაიმსი“ ოსმალეთის საპასუხო ნოტის გამო სწერს: ბალკანეთის დელეგატები არ უნდა ეშურებოდნენ წასვლას, რადგანაც შესაძლებელია მოლაპარაკება განახლდესო.

**ლონდონი.** რეიტერის ცნობით, გრეის ოსმალეთის დელეგატებისთვის გადაუცია დანევის განცხადება, რომ მოლაპარაკება იმ შემთხვევაში განახლდება, თუ ოსმალეთი ადრიანოპოლს დასთმობსო; ოსმალეთის დელეგატებს ლონდონიდან წასვლის მოწერილობა არ მიუღიათ.

# რუსეთი

**ხვოსტოვის საქმე.**

სენატის პირველი დეპარტამენტი ახლო ხანში გაარჩევს ნიჟეგოროდის ნაგუბერნატორალ სახელმწიფო სათათბიროს წევრის ხვოსტოვის საქმეს. ხვოსტოვს უჩივის მესამე სათათბიროს წევრი, ხვოშჩინსკი არჩევნების დროს თვითნებობას, ძალადობას და კანონის დარღვევას, რათა ამით ხელი შეეწყო მისთვის სასურველი კანდიდატის არჩევისათვის. ხვოშჩინსკის აუარებელი მასალა და საბუთები შეუკრებია ბრალდების დასამტკიცებლად. სენატის პირველი დეპარტამენტი ხვოსტოვს განმარტებას მოსთხოვს. თუ განმარტება ვერ დააკმაყოფილებს პირველ დეპარტამენტს, მაშინ საქმის გამოძიებას დანიშნავენ.

**ლენის რევიზია.**

როგორც „რუსკია ვედომოსტი“ გვაუწყებს, 17 იანვარს უნდა მომხდარიყო მინისტრთა საბჭოს სხდომა ლენის რევიზიის თაობაზე. ამ სხდომაზე უეჭველად თავს იჩენდა ორი მიმართულება. მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე იმ აზრისაა, რომ სრულიად მოისპოს საქმე მუშათა შეიარაღებულ თავდასხმისა ჯარზე, რაც იუსტიციის მინისტრის მიერ იყო აღძრული. იუსტიციის მინისტრი უპასუხებს კოკოვცევს, რომ ეს საქმე სამინისტროს საშინაო საქმეა და ამისათვისაც მხოლოდ მასა აქვს უფლება, საქმეს ისეთი მიმართულება მისცეს, როგორც საუმჯობესოდ დაინახავსო. როგორც გაზეთები გადმოგვცემენ, კოკოვცევი მოითხოვს, საკითხს ხმის უმრავლესობით გადაწყვეტას. საქმის ვითარება იმაზეა დამოკიდებული, თუ რომელი მიმართულება გაიმარჯვებს.

**ფინლანდია**

**ვიბორგის გოფგერიხტ-ის საქმე.**

15 იანვარს პეტერბურგის საოლქო სასამართლოში ნაფიც მსაჯულთა დაუსწრებლივ გაირჩა საქმე ვიბორგის გოფგერიხტისა სამართალში არიან მიცემულნი ვიბორგის გოფგერიხტის თავმჯდომარე და 23 წევრი.

გოფგერიხტმა დაადგინა, პასუხის გებაში მისცეს პოლიციემეისტერი ბეკონინი, რომელმაც უკანონოდ დაატუსაღა ვიბორგის მაგისტრატის წევრი ლაგერკრანცი, რომელსაც კანონის წინააღმდეგობა ჰბრალდებოდა. ამასთანავე გოფგერიხტმა მიწერილობა გაუგზავნა გუბერნატორს, სადაც ლაგერკრანცის განთავისუფლებას მოითხოვდა. გუბერნატორმა უარი შეუთვალა და თან განაცხადა, მეორედ არავითარი მოწერილობა აღარ გამომიგზავნოთო. გოფგერიხტმა გუბერნატორისაც უჩივლა და ამასთანავე თხოვნა გაგზავნა მეფესთან, რათა დაუყონებლივ სისრულეში მოეყვანათ გოფგერიხტის დადგენილება. ამას მოჰყვა მთელ გოფგერიხტის სამართალში მიცემა. გამოძიების დროს ყველა წევრებმა, მალინის გარდა უარი განაცხადეს ჩვენების მიცემაზე. მალინს გოფგერიხტის თავმჯდომარემ განაცხადა, ჩემს ხმის გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვსო. სასამართლოში არც ერთი ბრალდებულთაგანი არ გამოცხადდა. დამცველი მარტო მალინს ჰყავნდა ნაფ. ვექილი კნიპოვიჩი. ბრალმდებელის ამხანაგი ნენაროკომოვი მოითხოვდა უაღრეს ზომის სასჯელს. კნიპოვიჩი ამტკიცებდა, საქმეში არ არის დანაშაულობის შემადგენლობა, რადგანაც ფინლიანდიაში არსებულ კანონების მიხედვით პოლიციაც და გუბერნატორიც ექვემდებარება გოფგერიხტს და გუბერნატორი მოვალე იყო აესრულებინა გოფგერიხტის დადგენილებაო.

სასამართლომ 23 წევრს გადაუწყვიტა თითო წლისა და 4 თვის ციხე. ამასთანავე 10 წლის განმავლობაში მათ ეკრძალებათ სახელმწიფო ან საზოგადო სამსახურში რაიმე თანამდებობა აასრულონ. მალინი გაამართლეს.

# დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტო)

**18 იანვარი.**

**საზღვარ-გარედ**

**ლონდონი.** ზედა პალატამ, 326 ხმის უმრავლესობით, წინააღმდეგ 69 ხმისა, უარჰყო ფორმულა.

**ტოკიო.** ერთმა მინისტრმა განაცხადა, კაცურამ გადასწყვიტა პარლამენტი იმ შემთხვევაშიაც კი არ დაითხოვს, თუნდაც ქვედა პელატამ

---

ლაც ეს პათეთიური აღფრთოვანება ანგარიშიან ზრახვებით შეზავებული, აშკარად გამოსჭვიოდა თავად-აზნაურობის მოთხოვნილებებში, მაგრამ ეს სიყალბე იმ დროინდელ თავად-აზნაურობისათვის შეუმცნებელი, უკეთ ვსთქვათ, დაჩრდილული უნდა ყოფილიყო ძლიერის წოდებრივის ინსტინქტით, რომლითაც იყო იგი შეპყრობილი.

გლეხთა და მებატონეთა შორის დამოკიდებულება თურმე მამაშვილური იყო, ხოლო როდესაც საქირო იყო მთავრობის საყურადღებოდ გამორკვევა იმ საკითხისა, თუ რაგვარ შემოსავალს აძლევდნენ გლეხები მებატონეთ, აქ ვახტანგ მეფის კანონების შემწეობით იხატებოდა სურათი სრულის დამონებისა ერთის წოდებისა მეორეს მიერ. და როდესაც საჭირო იყო ფულით გამოანგარიშება იმ ჯამისა, რომელიც შემოსდიოდა მებატონეს ყმისაგან, როგორც ყმის პირადი ვალდებულებისაგან, ისე მიწის სარგებლობიდან, ბეჯითად იყო აღნიშნული, რომ პირველი კატეგორიის შემოსავალი სამხოლოდ 148 მ. 38 კ. უდრიდა კომლზე, ხოლო ღალის, კულუხის და ბეგარას შესახებ ნაჩვენები იყო ვახტანგის კანონი, სადაც სწერია: „სახნავი მიწა სამნაირია: სამოსახლო, მიწა პატივით მოვლილი, სარწყავი და გაუტეხავი მიწა. ხვნის დროს ღალის შესახებ თითოეულ მიწის შესახებ ცალ-ცალკე უნდა მოურიგდეს მებატონეს. ამ შემოსავლით სცხოვრობდა თავად-აზნაურობა და ეს რომ წაერთვას, რა გზას დაადგეს? ვაჭრობა-მრეწველობა განუვითარებელია.

და ამ დარგში თავის ხასიათითაც ვერ იჩენს უნარს თავად-აზნაურობა. ლიტერატურა, ხელოვნება, სამსახური, ძეურნეობა—ყველა ამითი როგორ ირჩინოს თავი. სამსახურით კიდევ რამდენიმედ შეიძლება, მაგრამ მარტო სამსახური რას უშველის? „ერთის სიტყვით, ვკითხულობთ მოხსენებაში, სადაც უნდა გაიხედოთ, არც ჩვენ, არც ჩვენ შვილებს არავითარი საშუალება მოეპოვება, თავის რჩენისა გარდა იმ ორგვარ შემოსავლისა, რომელიც უძველეს დროიდან გვქონდა გლეხებიდან და ჩვენი მიწიდან“.

ყველა კარგი, იტყვის მკითხველი. გვესმის თავად-აზნაურობის მდგომარეობა; მისი ქონებრივი კეთილდღეობა გლეხთა ჯაფით დ შრომით გაიზომებოდა. გვესმის, რა მიზეზმა ააშფოთა იგი. მაგრამ არ გვესმის, მსხვერპლს რომ იძახდნენ, რა მსხვერპლს სწირავდნენ, თუ კი ყოველსავე დანაკლისს ინაზღაურებდნენ და თუ კი ფულად ითხოვდნენ, რაც წინად შრომის სახით შემოსდიოდათ? ამის შესახებ მოხსენებაში ვკითხულობთ: „უნდა ვაღვიაროთ, რომ ჩვენი მდგომარეობა მართლაც გაჭირვებული მდგომარეობაა. დღეს, როდესაც ჯერ კიდევ სავსებით გვიპყრავს ხელში ჩვენი ჩვეულებრივი წყარო ცხოვრებისა, როდესაც ჩვენი კაპიტალი, ე. ი. გლეხებიდამ შემოსული შემოსავალი ხელუხლებელია—ჩვენი კაპიტალი უდრის 42,556.307 მან., რადგან ზემოდ მოყვანილი ცნობებით თითოეული კომლი გვაძლევს ორთა შუა რიცხვით 148 მ. 38 კ. შემოსავალს პირველ კატეგორიისას. და თავნად რომ ვაქციოთ ეს შემოსავალი 16 გზის გამრავლებით კომლზე 2473 მ. გამოვა, ხოლო—17208 კომლზე თავნი გამოისახება 42½ მილ. მანეთში. ახლა რა მდგომარეობა იქნება ჩვენი მდგომარეობა, როდესაც ეს თანხა თავის სარგებელით მოგვაკლდება, რადგან, გლეხების განთავისუფლებით ვანთავისუფლებთ მათ ამ შემოსავლის გადახდის ვალდებულებიდამ. და მაძასადმე მათის მდგომარეობის გაუმჯობესობისათვის ვწირავთ ჩვენს მემკვიდრეობით მამაპაპეულ სიმდიდრეს, რომელიც გამოისახება 42 მილ. მანეთში“.

ამის სანაცვლოდ თავად-აზნაურობა სთხოვდა მთავრობას შემწეობას კომლზე 400 მ. ეს შემწეობა, მოხსენების აზრით, უდრის სამი წლის შემოსავალს, რომელსაც გლეხებიდან იღებდნენ, ე. ი. 2—3% იმ კაპიტალისას, რომელსაც სწირავდა თავად-აზნაურობა გლეხთა კეთილდღეობის გასაუმჯობესებლად.

ეხლა კი ნათელია, რას უწოდებდნენ „მსხვერპლს“. მართლაც, თუ კი დარწმუნებული ხარ, რომ სამართლიანად გეკუთვნის ორმოცი მილიონი, რომელშიაც გათქვეფილია ჯანი და შრომა დამონებული ხალხისა, ეჭვი არ არის დაჩაგრული გეჩვენება შენი თავი, როდესაც იძულებული იქნები ამ დამონებულ ჯაფის და შრომის სარგებლობაზე ხელი აიღო.

ამ წოდებრივის თვალსაზრისით, გლეხთა მდგომარეობის გაუმჯობესობა, რასაკვირველია, მსხვერპლი იყო თავად-აზნაურობისათვის, რომლის შემეცნება ამართლებდა ამ უკუღმართ წესს, როდესაც ერთი ხოლება სრული ბატონი და მფლობელია მეორე წოდებისა. ამ ბატონობის მცირედი შეზღუდვაც კი მსხვერპლად უნდა სჩვენებოდათ. დიაღ, ეს ასეა, მაგრამ, როგორცა ვსთქვით, საბოლოოდ არც ისე დაზარალდნენ მემამულენი. იმ ხანებში აღმოსავლეთ საქართველოს თავად-აზნაურობამ ხომ 1.840.000 მან. მიიღო ყმებში, ხოლო 160,000 მ.ნ. ბანკის დაარსებისათვის მას შემდეგ ორმოც-და-ათი წლის განმავლობაში „ნადელებში“ ხვედრ ღალას იღებდნენ. ასე რომ, სამართალი რომ იყოს, დროებით ვალდებულ გლეხებს, ე. ი. ვისაც ჰქონდა ნადელები—მიწის ფასი სავსეაით აქვთ გადახდილი. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ამერ-იმერეთის თავად-აზნაურობას კიდევ ეძლევა დღეს 8 მილ. ფული. ასე რომ საბოლოოდ ზარალზე ლაპარაკი შეუწყნარებელი ხდება.

თავისი ეკონომიური უპირატესობა, როგორც ვსთქვით, არც ერთ წოდებას და კლასს არასოდეს ნებაყოფლობით არავისთვის დაუთმია. საკვირველი იქნებოდა, რომ ჩვენი თავ.-აზნაურობა გამონაკლისი ყოფილიყო ამ საზოგადო კანონიდამ. და რადგან დიმიტრი ყიფიანი, ნამდვილი შვილი იყო წოდებისა, ამიტომ არც ის უნდა გვაკვირდეს, რომ დ. ყიფიანი აქაც, როგორც ბევრ სხვა საკითხში, თავის სინიდისთან დ გონების მოთხოვნილებასთან სავსებით იყო შეთანხმებული და მოქმედებდა არა როგორც რეფლექსიით ნება-შეხუთული ინტელიგენტი, არამედ როგორც თავად-აზნაურულ აზროვნებით აღჭურვილი, მაგარი მტკიცე და მთლიანი ადამიანი.

მეტი არ იქნება აღვნიშნოთ, რომ მთავრობა არ იწყნარებდა ქართველ თავად-აზნაურობის პოზიციას. მისი პროექტი ლიბერალური იყო შედარებით, რადგან „ნადელებს“ მაინც იხსენიებდა. რაც შეეხება ფულით ანაზღაურებას, მთავრობა მზად იყო ამაზედ, ხოლო ეშინოდა, ბევრი არა მთხოვონო. ამ შემთხვევაში, რასაკვირველია, მას ამოძრავებდა ფისკალური ინტერესი და არა ლიბერალური. რომ მართლა ჰქონდა ამგვარი შიში მთავრობას (ბევრი არა მთხოვონო), ნათლად სჩანს ერთ საუბრიდამ, რომელიც ჰქონდა დიმ. ყიფიანს დიდ მთავარ მიხეილ ნიკოლოზის ძესთან. 1863 წ. მივიდა დიდ მთავართან დ. ყიფიანი იმ განზრახვით რომ ეგებ მოვახერხო და თავად-აზნაურთა შუამდგომლობა მომავალში, როდესაც მოვა დრო, ჩვეულებრივის წესით კი არ წარუდგინო მთავრობას (გუბერნატორის საშუალებით), არამედ პირდაპირ გადავცე დიდ მთავარს. ამ გზით თავად-აზნაურობა მეტ გამორჩენას მოელოდა. მაგრამ იმედები გაუცრუვდათ. დიმიტრი ყიფიანს წარბ-შეკრული დაუხვდა დიდი მთავარი. დიმიტრის მემუარებში ვკითხულობთ:

— ვიცი, რისთვისაც მოხვედით. როგორ ჰგედავთ, თავად-აზნაურობას რომ ურჩევთ უაზრო მოთხოვნაოა წარდგენას? გლეხებში თურმე 17 მილიონს ითხოვთ.

აშკარა იყო ვ ღაცას მოუტყუებია დიდი მთავარი.

— მე უპასუხე—ითხოვს რასმეს თავად-აზნაურობა, ევედრება, თუ თავის ბედს მეფის წყალობაზე ამყარებს—ამას გაიგებთ, როდესაც წაიკითხავთ მოხსენებას. მხოლოდ ეხლა ის არის საკითხავი, როგორ წარვუდგინოთ ეს მოხსენება.

— უთხარით **თქვენს** თავად-აზნაურობას, რომ წესიერების დარღვევის ნებას არ მივცემ. მოხსენება წინამძღოლმა გუბერნატორის საშუალებით უნდა წარმომიდგინოს.

— ძალიან კარგი.

საჩქაროდ გამოვედი კაბინეთიდამ და აღარაფერზე ხმა აღარ ამომიღია.“

სამოცი წლის განმავლობაში, ჩვენს ცხოვრებაში ისეთი ღრმა ცვლილება მოხდა, რომ ეხლა აღარ ვიწყნარებთ ამგვარ მსოფლ-მხედველობას. გვწყინს, რომ დ. ყიფიანი ლიბერალი და რადიკალი არ იყო, ასეთი კი ეგულება იგი უმრავლესობას—და თითქმის არ გვინდა დავიჯეროთ, რომ ადამიანი, რომელმაც თავი დასდო სამშობლოსთვის, ასეთი ვიწრო წოდებრივობის მაზიარებელი იყო. მაგრამ წყრომით არა გაკეთდება. ფაქტებს ნუ დავამახინჯებთ. გავყვეთ დ. ყიფიანს მის რთულ ცხოვრებაში, ვადევნოთ თვალი მის მოქმედებას, აზრთა გაფართოვებას, გართულებას, და მერე, როდესაც ყოველივეს გავითვალისწინებთ და ერთად მოუყრით თავს, იქნებ გამოირკვეს ბევრი რამ და აღარ იყოს გაუგებარი ის, რაც ეხლა გაუგებარია.

(შემდეგი იქნება)

**არჩილ ჯორჯაძე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

...ინეი უნდობლობა გამოუცხა-
...ოუს.
...ოგადოების აღშფოთება კაბი-
...ის წინააღმდეგ თან და თან სცხრე-
...

**ტოკიო.** ნახევრად ოფიციოზი მოუწოდებს საზოგადოებას ნაკლები ყურადღება მიაქციოს შინაურ პოლიტიკას და მთელი თვისი გულის ყური მიაპყრას გარეშე პოლიტიკის ვითარებასო.

**ბერლინი.** ღამე ზემო სილეზიაში ამოვარდა საშინელი ქარიშხალი. მატარებელთა მიმოსვლა შეჩერებულია.

**პარიზი.** პალატამ ხმის უმეტესობით მთავრობას ნდობა გამოუცხადა

**რ უ ს ე თ ი.**

**პეტერბურგი.** ფულის ბირჟა: ლონდონში 93,80; პარიზში 37,30; ამსტერდამში 77,65.

**პეტერბურგი.** დაიჭირეს გაზეთი „ლუჩი“, წერილისთვის: „მაშინ და ეხლა“.

**რიგა.** სამხედრო მინისტრი ჩამოვიდა.

**პეტერბურგი.** სასამართლოს პალატის საგანგებო განყოფილებამ წოდებათა წარმომადგენლების თანადასწრებით, პირველ სათათბიროს წევრს, მუშა მიხაილიჩენკოს, ვიბორგის მოწოდებაზე ხელის მოწერისთვის სამი თვის ციხე გადაუწყვიტა.

**პეტერბურგი.** სახელმწიფო საბჭოს წევრი მაკაროვი გარდაიცვალა.

**პეტერბურგი.** მოსკოვის გუბერნატორი ჯუნკოვსკი შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგად დაინიშნა. შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგი ზოლოტარევი ინიშნება ყველა იმ დეპარტამენტის გამგედ, რომელიც ექვემდებარებოდა ხარუზინს.

**პეტერბურგი.** პუტილოვის ქარხანაში მუშათა გაფიცვა დასრულდა.

**პეტერბურგი.** ცნობათა მიმცემი ბიურო უარჰყოფს, ვითომც შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგი ლოკოშინი თანამდებობას თავს ანებებსო.

## თეატრი და ხელოვნება

**ქართული თეატრი.** დღეს, 20 იანვარს, ქართულ თეატრში **ვას. ალ. აბაშიძისა და ვლ. ს. ალექსი-მესხიშვილის** მონაწილეობით ქართული დრამატიული დასი წარმოადგენს ისტორიულს სამ მოქმედებიან დრამას „ორი გმირი“ გადმოკ. ვ. გუნიას მიერ და ორ მოქმედებიან მხიარულ კომედიას „საძაგელი“ დ. ერისთავისა. დასს რეჟისორობს ბ-ნი ალექსი-მესხიშვილი.

შემდეგი წარმოდგენა იქნება 24 იანვარს. ჩვენის სცენის დამამშვენებელ **ვას. ალ. აბაშიძის საბენეფისოდ.** წარმოადგენენ ილ. სუმბათაშვილ-იუჟინის პიესას „შევარდნები და ყორნები“.

მზადდება წარმოსადგენად: „რიჩარდ მესამე“, „კეისარი და კლეოპატრა“, „ბონაპარტე და ჟოზეფინა“, „სულელი“, „სამღვდიშვილი“, „ოტელო“ და სხვანი.

## წერილი რედ. მიმართ

კნეინა ანნა ნიკოლოზის ასულმა ბეგთაბეგოვისამ საქალებო ქართულ გიმნაზიის სამზრუნველოს შემოსწირა ღარიბ მოწაფეთა დასარიგებლად ტანისამოსი და ფეხსამოსი, რისთვისაც ულრმესს მადლობას სწირავს

**სამზრუნველო.**

ქართულ გიმნაზიასთან არსებულ უფასო სასადილოს გამგეობას შემოსწირეს გ. ივ. მუსხელიშვილმა 50 მ. თავის დაუვიწყარ ძმის დ. ივ. მუსხელიშვილის ხსოვნის აღსანიშნავად, ტფილისის სათავად-აზნაურო სადგილ-მამულო ბანკის გამგეობისაგან —50 მან., განსვენებულ დ. ივ. მუსხელიშვილის გვირგვინით შემკობის ნაცვლად, და №№-საგან 10 მან., კნეინა ბ. ა. ჭავჭავაძის ხელით.

ყველა ზემოხსენებულ შემომწირველთ ულრმეს მადლობას სწირავს უფასო სასადილოს **გამგეობა.**

**რედაქტორ-გამომცემელი**
**ა. ჭუმბაძე.**

## გამოსადეგი ცნობა
## მატარებელთა მიმოსვლა
(ზ ა მ თ რ ო ბ ი თ).

**15 ოქტომბრიდან.**
(დრო აღნიშნულია ტფილისის საათით).
**ტფილისიდან გადის.**

**ბაქოსაკენ:** სამგზ.-საბარგო № 8, სად. ს. 26 წ. **ჩქარი** № 2, დილ. 10 ს. 14 წ. **საფოსტო** № 4, ღამის 12 ს. 36 წ. **სამგზავ.** № 6, შუადღ. 6 ს. 31 წ. **ნარევი** № 106. სად. 7 ს. 20 წ.

**ბათომისაკენ:** სახ. №№ 107, დილ. 4 ს. 38 წ. **სახ.** № 5, ნაშ. 4 ს. 38 წ. **საფ.** № 3, დილ. 9 ს. 50 წ. **სახ.** № 4, სად. 9 ს 4 წ. **სახ.** № 11, ღამ. 10 ს. 2 წ.

**ბაქოსკენ: ნარევ.** № 106, სად. 7 ს. 26 წ.

**ერევანისკენ:** სახ.-საბ. № 8;7, შუადღ. 1 ს. 6 წ.

**ჯულფისკენ:** საფ. № 4;3, ღამ. 1 ს. 11 წ.

**ყარსისკენ:** სახ.-საბ. № 6;5, სად. 8 ს. 10 წ.

**ბორჯომისაკენ:** სახ. № 9/10 6, ნაშ. 3 ს. 17 წ.

**ტფილისში მოდის.**

**ბაქოდან. ნარევ.** № 107, დილ. 3 ს. 8 წ. **სახ.** № 5, ნაშ. 3 ს. 46 წ. **საფ.** № 3, დილ. 9 ს. **ჩქარ.** № 1, სად. 9 ს. 10 წ. **სახ.-საბ.** № 7, დილ 11 ს 55 წ.

**ბათომიდან:** სახ. № 12, დილ. 8 ს. 50 წ. **საფ.** № 4, ღამ. 11 ს. 32 წ. **სახ.** № 6, სად. 5 ს. 56 წ. **ნარევ.** № 106, დილ. 5 ს. 15 წ.

**ერევნიდან:** ს ხ.-საბ. № 83;7, დილ. 5 ს. 28 წ.

**ყარსიდან:** სახ.-საბ. № 65, ნაშ. 1 ს. 28 წ.

**ჯულფიდან:** სახ. № 43, დილ. 8 ს.

**ბორჯომიდან:** სახალ. № 9|10 6, დილ. 11 ს. 22 წ.

**მიხაილოვიდან სურამში** სახ.-საბარგ. № 61, ღამ. 2 ს. 18 წ. **სახ.-საბ.** № 63, დილ. 5 ს. 30 წ. **სახ.-საბ.** № 65, ნაშ. 12 ს. 48 წ. **სახ.-საბ.** № 67, ნაშ. 3 ს. 13 წ. **სახ.-საბ.** № 69, სად. 7 ს. 53 წ. **სახ.-საბ.** № 71, სად. 9 ს. 20 წ.

**სურამ.-დან მიხაილოვში:** სახ.-საბარ. № 60, ღამ. 1 ს. 22 წ. **სახ.-საბ.** № 62, დილ. 4 ს. 38 წ. **სახ.-საბ.** № 64, დილ. 7 ს. 8 წ. **სახ.-საბ.** № 66, ნაშ. 1 ს. 15 წ. **სახ.-საბ.** № 68, სად. 6 ს. 38 წ. **სახ.-საბ.** № 70, სად 8 ს. 26 წ.

**ქუთაისიდან რიონში:** სახ. № 77 დილ. 5 ს. 28 წ. **სახ.** № 79, დილ. 10 ს. 14 წ. **საბ.** 1, ნაშ. 2 ს. 3 წ. **სახ.** № 83, ნაშ. 5 ს. 84 წ. **სახ.** № 85, ღამ. 11 ს. 58 წ.

**რიონიდან ქუთაისს:** სახ. № 76, დილ. 6 ს. 25 წ. **სახ.** № 78, დილ. 11 ს. 2 წ. **სახალ.** № 80, ნაშ. 3 ს. 8 წ. **სახ.** 82, სად. 6 ს. 55 წ. **სახ** № 84, ღამ. 1 ს. 58 წ.

**ქუთაისიდან ტყიბულს:** სახალხო № 29/30, ნაშ. 5 ს. 23 წ.

**ტყიბულიდან ქუთაისს** სახ № 27|28, დილ. 8 ს. 30 წ.

**ფოთიდან სამტრედ. და ქუთაისს: სახ.** № 26, დილ. 6 ს. 6 წ. **სახ.** № 4 п, დილ. 11 ს. 9 წ. **სახ.** № 6, სად. 5 ს. 1 წ. **სახ.** № 8 п, სადამ. 9 ს. 10 წ.

**სამტრედიიდან ფოთში; სახ.** № 3 п შუადღ. 1 ს. 57 წ. **სახ.** № 7 п. სად 7 ს. 24 წ. **სახ.** № 5 п, სად. 7 ს. 59 წ. **სახ.** № 25 г ნაშ. ს. 8 წ.

**ბათომ.-დან ქობულეთსა და ნატანებში:** სახ. № 18, ღამ. 1 ს. 13 ს. **სახ.** № 14, დილ. 5 ს. 43 წ. **საფ.** № 16, ნაშ. 2 ს. 58 წ.

**ქობულეთ.-დან ბათომს:** სახ. № 13, დილ. 7 ს. 4 წ. **სახ.** № 15, ღამ. 12 ს. 23 წ. **სახალხ.** № 17, ნაშ. 5 ს. 47 წ.

**ნატანებიდან ბათომს:** სახ № 17, ნაშუადღ. 5 ს. 20 წ.

**ბათუმიდან ქობულეთში.** სახ. № 18, ღამ. 1 ს. 13 წ. **სახ.** № 14, დილ. 5 ს. 43 წ. **სახ.** № 16, ნაშ. 2 ს. 58 წ.

**ბათომიდან ნატანებს:** სახ. № 16, ნაშუადღ. 4 ს. 24 წ.

**მიხაილოვ.-დან ბორჯომს. სახ.** № 46, ნაშ. 3 ს. 8 წ. **სახ.** № 65, სად. 9 ს. 14 წ. **სახ.** № 86, დილ. 5 ს. 25 წ.

**ბორჯომ.-დან მიხაილოვში: სახ.** № 36. ნაშ. 12 ს. 35 წ. **სახ.** № 55, დილ. 5 ს. 58 წ. **სახ.** № 76, ღამ. 12 ს. 41 წ.

**პირდაპირი მიმოსვლა გადაუჯდომლად.**

1) **ბათომიდან პეტერბურგამდე** გაივლის ნიკიტოვკას, კურსკს, მოსკოვს, არის ერთი მიქსტო-ვაგონი I—II კლასისა და 1—მესამე კლასის, მატარებლების №№ 1/11 და 2/12 ყველა ბილეთები პლაცკარტებით.

2) **ბათომიდან მოსკოვამდე.** გაივლის კოზლოვს და რიაზანს; 1 ვაგონი პირვ. კლასისა, 1 მეორისა და 3—მესამისა, მატარებლები №№ 5 და 6. I და II კლასი და მესამე კლასის ერთ ვაგონში ბილეთები პლაცკარტიანია, ხოლო მესამე კლასის ორ ვაგონში უპლაცკარტოდ.

3) **ტფილისიდან როსტოვამდე** ერთი ვაგონი I/II კლასისა, ერთიც მესამე კლასისა, მატარებელთა ნომრები 1 და 2.

4) **ტფილისიდან ჯულფა-ერევნისკენ** ერთი ვაგონი I/II კლ. და ერთიც მე-III კლას. მატარებლის ნომრები 3 და 4.

## გემების მიმოსვლა
(ზ ა მ თ რ ო ბ ი თ)

**15 ოქტომბრიდან,**
**შ ა ვ - ზ ღ ვ ა ზ ე.**
(დრო ტფილისის საათითაა აღნიშნული).
**„ვაჭრობა - ნავოსნობის“**
საზოგადოების გემები.

**ბათომიდან გადის:**

1) პ ი რ დ ა პ ი რ ი, **საფოსტო** გემი **შაბ.**, და **კვირ.**, ღამ. 12 ს. 58 წ.

**ირგვლივ მოსიარულე:**
№ 1. **ოთხშ.** — შუა ღამის 1 ს. 58 წ.
№ 2. **პარასკევს**, შუაღამის 1 ს. 58 წ.
№ 1. **სა.**, **შაბათ.**, ნაშუადღ. 2 ს. 58 წ.
№ 2. **ორშაბ.**, ნაშ. 2 ს, 58 წ.

**ბათომში მოდის:**

**ოდესიდან** პ ი რ დ ა პ ი რ ი, **საფ.**, **პარ.** დილ. 6 ს. 58 წ.

**ირგვლივ მოსიარულე:**
№ 1. **ორშ.**, სად. 9 ს. 58 წ.
№ 2. **ოთხშ.**, სად. 8 ს. 58 წ.
№ [illegible]. **სამგზ.**, **პარ.** სად. 8 ს. 58 წ.
№ 2. **კვირ.**, სად. 6 ს. 40 წ.

**კასპიის ზღვაზე.**
**„კავკაზი და მერკური“**
საზოგადოების გემებისა.

**ბაქოდან გადის:**

**კრასნოვოდსკს**, ყოვ.-დღე სად. 4 ს. 40 წ.
**ენზელს** პ ი რ დ ა პ ი რ ი, **პარ.**, და **სამშაბ.**, ნაშუადღ. 4 ს 40 წ.

ირგვლივ მოსიარულე:
**ასტარას, ხუთშ.** ნაშუადღ. 5 ს. 25 წ.

**ბაქოში მოდის;**

**კრასნოვოდსკიდან** ყოველ-დღ. დილ. 9 ს. 40 წ.
**ენზელიდა** ორშ. და პარ., დილ. 60 ს. 5 წ.
**ასტარიდან** კვირ., ირგვლ. მოს. დილ. ს. 44 წ.

## სასანიტარო ექიმები.

**უბნები:** 1, 2—9 **პ. ფომინა-ოსიპოვისა** ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).

მე-4 და რუსის ბაზარში **ქრ. ლ. ქალანთაროვი** (სოლოლაკი, ამაღლების ქ. 517).

5—6 **ი. მ. ზაბლუდოვსკი** (გრიბოედოვსკი, 10. ტელ, 645).

0, 11—12 **ვ. ა. მირაჭოვი** (მიხეილის ქ., 174 ტელ. 327).

7—8 **გ. თ. ნათიშვილი** (ვორონცოვის ძეგლთან, მონუმენტნი შესახვ. 5. ტელ. 487).

სასურველია, თვითონ მცხოვრებლები დაგვეხმარებოდნენ სასანიტარო წესიერების შემოღებაში და სადაც-კი ამ მხრივ უწესობას შეჰნიშნავენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათ არღვევენ, ცუდს საჭმელ-სასმელს აკეთებენ და ჰყიდიან, და სხ.—დაუყონებლივ ზემოდ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველას შეუძლიან გარდასცეს ქალაქის სავაჭრო პოლიციის კანტორებში: ვერის მოედანზე, რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, კახეთის მოედანზე, ავლაბარში რიყის ქუჩაზე, 54, ელისაბედის ქუჩა 56 და მალაკნის მოედანზე.

## უფასო სამკურნალო დახმარება
**ქალაქის საბჭოს ექიმები.**

| უბნები | |
|---|---|
| 1—2 | **გ. ა. გედევანიშვილი** (სდგას ვერაზე, ოლგის ქუჩა, 22. ტელეფ. 592). |
| 3—4 | **მ. ი. შავერდოვი** (ფეთხაინის აღმართზე, 1, ტელ. 6[illegible]9). |
| 5—6 | **ტ. მ. თათეოსიანი** (ველიამინოვის, 4, ტელეფ. 680). |
| 6—7 | **შ. ა. მიქელაძე** (ავლაბარში, კახეთის ქ, 1, ტელ. 7[illegible]5). |
| 8—9 | **ნ. დ. ხატისოვი** (კუკიაში, ნიკოლოზოვის ქ. 7, ტელ. 715). |
| 10, 11—12 | **ა. ი. შჩერბინინისა** (დიდუბეში, საგურამოს ქ. 5. ტელეფ. 71. |

## ქალაქის საავადმყოფოები

**მთავარი**—მუხრანის ქუჩა, 9.
**ავლაბრისა**—კახეთის ქ. № 15.
**ხარფუხისა**—ვორონცოვის ქ. 55.
**კუკიისა**—ჩერქეზიშვილისა, 1—18.
**დიდუბისა**—საგურამოს ქ. 5.

ქალაქის საბჭოს ექიმები მოვალენი არიან ღარიბ მცხოვრებთ უფასო სამკურნალო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფის ბინაზედაც (ყოველმა თავ-თავის უბანში), თუ უბრალო ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვიეს, ვალდებულია იმ დღესვე ინახულოს ავადმყოფი, გარდა საჩქარო შემთხვევებისა, როცა დახმარება დაუყოვნებლივ უნდა მისცეს.

## განცხადებანი

**ვ ა ს წ ა ვ ლ ი**
**ქართულ**
**„სიმღერა-გალობას“**
ჩაწერა და მიღება ყოველ დღე, ავჭალის მოედანი № 11, **მიხეილ კავსაძესთან.** 886

**10 მან. თვეში**

**ვამზადებთ, ძლიერ ბეჯითად ბავშვებს,** მაისისა და აგვისტოს ეგზამენებზე მისაღებად: გიმნაზიაში, კადეტ-კორპუსში, სათავად-აზნაურო, რეალურ, კომერციულ და სასულიერო სასწავლებლებში 1, 2, 3 და 4 კლასში. (ჩვენმა შეგირდებმა ძლიერ ბეჯითად დაიჭირეს ეგზ.-მენი შარშან და იქმნენ მიღებულნი ზემოხსენებულ სასწავლებლებში ძლიერ მცირე ხანში გავდივართ მთელს კურსს მათემატიკისას, ვასწორებთ სუსტ მოწაფეებს, რომელთაც აქვს ბილეთში „ორები“, როგორც მათემატიკაში, აგრეთვე ყველა საგნებში. ჩუღურეთის შესახვევი № 5, პირველ კომერციულ სასწავლებლის ახლოს, ეკატერინის ქუჩის ბოლოს

მიღება 9— 2 ს. 3—4 ს. 36.

იშოვება
ყველა აფთიაქსა და სააფთიაქო მაღაზიაში.

მეტცლ. 6587.

**დ. ზესტაფონში**
**ექიმი** კბილისა ბაქლინა ცხადაძე
იღებს ავადმყოფებს დილით 9—3 ს. საღამოთი 5—7 ს. ასათიანის სახლში, საყდართან. 19

## ექიმ ნავასარდიანის
## პირველი კერძო
## სამკურნალო
დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).
**ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა.**
**დ ი ლ ი თ:**
**„606“ და „914“**
**11—12 ს. შეშხაპუნება კონსულტატიურად.**

**ე. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, და ვენერიული (სიფილ.) ავად.
**ბ. გ. ადამაროვი:** 1—2 ს. ბავშვია შინაგანი ავადმყ.
**კ. მ. ჩიქოვანი:** $9^{1}/_{2}$—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საშვილო. ქალებისა და ბავშვებისა,
**ნ. ტ. მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
**მ. გ. აგეტისიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
**ა. პ. კარაპეტიანცი:** 12—1 ს. [illegible] საშვილო და ყვავილის აცრა.
ექიმი ქალი **ე. ნ. ამბრუმოვა-მელ ქიანი** 1—2 ს. სიხვილო და ქალების ავად.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**მ. გ. აგეტისიანცი:** 6—7 საათ.
**ექიმი ქალი გ. ლ. რენიგერ არეშევისა** 6—7 ს.
რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთა ვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინის
1004 დოქტორი ზ. ა. ნ გახარდიანი.

## ქირავდება
ვერის დაღმართის მახლობლად, ოლგის ქუჩაზე № 19,
**მაღაზიები** და ცალკე **სარდაფი,** ფართე მისავალი აქვს ოლგის ქუჩის მხრივ. სარდაფში, სურვილისამებრ, შეიძლება კანალიზაციის მოწყობა. ვისაც დათვ ლიე... ბა ჰსურს, მეეზოვეს უნდა მიჰმართოს (მარცხენა ზარი). **პირობების** შეტყობა შეიძლება თვითონ სახლის პატრონთან გოლოვინის პროსპექტი, სახლი № 28, ზემო სართულში, კადეტთა კორპუსის პირდაპირ. 50

## ფეხსაცმელები
**თ ო მ ა დ. ჯ ა ნ ყ ა რ ა შ ვ ი ლ ი ს**
**მაღაზია-სახელოსნოში.**

მუხრანის ქ. № 2.
ყ ო ვ ე ლ ნაირი: საკუთარი და პეტერბ.



მეხანიკური ნაწარმოები. 30.



**უიმანს-ხველებიან გავშვებს**
ა ჭ ა მ ე თ
**სიროლინ „როშ“-ი,**
იგი სულ მოკლე ხანში **დაუყენებს**
მტანჯველ ყივილსა და **ხველას.**

მოითხოვეთ უს. თუოდ
**სიროლინ „როშ“-ი**
ქარხნის თავისებურ გასახვევით.

მაქვს პატივი ვაუწყო პატივცემულ საზოგადოებას რომ 9 იანვრიდან
**გ ა ვ ხ ს ე ნ ი ვ ა გ ზ ლ ი ს ქუჩაზე, № 14,**
**ს ა ს ა დ ი ლ ო „მ ი ნ გ რ ე ლ ი ა“,**
სადაც **მზადდება ქართული და იმერული საჭმელები: ღომი, მჭადი, საცივი, ჩიხირთმა, კუპატი, ხაჭაპური** და სხვა და აგრეთვე **ევროპიულიც,** აგრეთვე ვძლევთ **სადილებს სახლებშიაც.** გვაქვს ყოველნაირი მაგარი სასმელები.

38 პატივის ცემით **ს. ელიავა.**

## მუხრანის კერძო
## ს ა მ კ უ რ ნ ა ლ ო
**საწოლი კრაოტებით.**

19 თებერვლის ქუჩა, იგივე რიყე, № 48, ახალ მუხრ. ხიდის პირდაპირ, **ტელეფ. № 370.**
დასაწოლად ავადმყოფნი მიიღებიან ყოველ დროს, ხოლო გასასინჯად ფეხზე მოსიარულე ავადმყოფნი მიიღებიან დანიშნულ დროზე შემდეგ

| | ე ქ ი მ ე ბ ი ს მიერ: | დილით: | |
|---|---|---|---|
| [illegible] | **სპექტიორი გ. მ.** | $8^{1}/_{2}$—$9^{1}/_{2}$ | ს. |
| | **გაზაზოვი ა. ა.** | 10—11 | ს. |
| | **იაშვილი ა. ო.** | 11—12 | ს. |
| | **აბაკელია ი. კ.** | 12—1 | ს. |
| | **ლოლობერიძე გ. მ.** | $12^{1}/_{2}$—$1^{1}/_{2}$ | ს. |
| [illegible] | **გრიგორიანი ა. ი.** | 11—12 | ს. |
| | **მელკონიანი გ. ა.** | 12—1 | ს. |
| | **ჯაში ი. ი.** | $9^{1}/_{2}$—$10^{1}/_{2}$ | ს. |
| [illegible] | **გრიგორიანი ა. ი.** | 11—12 | ს. |
| [illegible] | **ექიმი-ქალი საყვარელიძე დ. ბ.** | 11—12 | ს. |
| | **ლოლობერიძე** | $12^{1}/_{2}$—$1^{1}/_{2}$ | ს. |
| [illegible] | **შტრეიხერი მ. ა.** | 12 $12^{1}/_{2}$ | ს. |
| [illegible] | **შაპელნიკოვი ზ ი.** | $1^{1}/_{2}$—$2^{1}/_{2}$ | ს. |

ფასი გასინჯვისა 50 კ. საწოლი კრაოტი 3 მან. დღეში, ცალკე ოთახი 5 მან. ოპერაციები მორიგებით. **შეშხაპუნება წამლებისა „606“ და „914“,** ყვავილის აცრა, ელექტრონით წამლობა, ძიძის გასინჯვა, დაზელა (მასაჟი), მოწმობის შედგენა და სხვა, შეღავათიანი საფასურით. 1581

## ქ. შ. წერა-კითხ. გამ საზოგ. წიგნის მაღაზიაში
**ისყიდება ჩვენი პოეტების პოემები და ლექსები:**

| | | | |
|---|---|---|---|
| აბაშიძე გრ. | ფ. 60 კ. | თმარიანი, გუგუნავასი | 50 „ |
| ბარათაშვილი ნ. | „ 40 „ | ორბელიანი ვახტ. | 60 „ |
| ბესიკი. სიტყვ.-კაზმ. საზ. გამ. | 1 მ.— | ორბელიანი გრ. რჩეული ლექს. | 20 „ |
| გურამიშვილი დ. „დავითიანი“ | 1 მ.— | სილოვანის ლექსები 1878—1894. | 50 „ |
| გურიელი მამია | 1 მ.— | ცისკარი. რუხაძის ლექსები | 25 „ |
| განდეგილის ლექსებ. | — 50 „ | შანშიაშვილი. შვების თავადი | 60 „ |
| დუტუ მეგრელი წ. I ლექსებ. | 70 „ | ჭავჭავაძე ალ. ლექსები | 30 „ |
| ერისთავი რაფ. წ. I | 1 მ.— | ჭავჭავაძე ილ. | 27 „ |
| ევდოშვილი, ლექსები და პოემები | 60 „ | წერეთელი აკაკი ტ. I | 1 მ.— |
| ვაჟა-ფშაველა | 1 მ.— | — — ტ. II | 1 მ.— |
| ვეფხის ტყაოსანი ქართველიშვილის გამოც. | 10 მ. 65 „ | — —ჩემი ნაწერ. ტ. 1 | 75 „ |
| „ „ ქ. შ. წ. კ ს. გამ. | 60 „ | — — იგავ-არაკნი | 50 „ |

**ადრესი:** Тифлисъ О-ва распр. грамотности сред. гр. пас. 1141

მივიღეთ საუკეთესო გემოს მარცვლოვანი,
**ქვირითის** (კეტოვ.) **ხიზილალა,**
გამოსული ქერჩის
**სელიოტკები,**
და ყოველგვარი
**კონსერვები.**

თევზის მრეწველნი
**ძმ. ქებველოვები.**
**პუშკინის ქ., საკუთარი ს. № 9.**
**ტ ე ლ ე ფ ო ნ ი № 712.**
1131

მოგვდის მუდამ დღე საკუთარი სამრეწველოდან ახალი თევზი, ხიზილალა, (ქიტკა), ორაგული, თარო, ტარაღანა, ლოქო და სხვა. და აგრეთვე ყოველ დროს იყიდება მაღაზიაში **მოხარშული დოში, ზურგიელი,** და ყოველგვარი
**შ ა ვ ი ხ ი ზ ი ლ ა ლ ა**

**→ გამოსულია და იყიდება ←**
**ნ. შიუკაშვილის**
პიესა **„მემონგროზა“,** დრამა 4 მოქმედებ. ფასი 30 კაპ.

**ვ. ლისიციანისა და ამხ. გამსესხებელი განყოფილება**
## გ ა დ ა ვ ი დ ა
საკუთარ სახლში, ლორის-მელიქოვის ქუჩაზე № 8, მუზეუმის მისახვევის კუთხეში, (ტელეფ. № 770). განყოფილების კლიენტებს ამით ვუწყებათ, რომ ოპერაციების გაფართოვების გამო 18 იანვრიდან სამუშაო საათები მოვუმატეთ ე. ი. სესხის გაცემა და დაგირავებულ ნივთების დახსნა იწარმოებს დილის $9^{1}/_{2}$ $1^{1}/_{2}$ საათამდე; სხვა ოპერაციები-კი ნაშუადღევის საათამდე. 542

## გამართულია ხელის მოწერა 1913 წლის
**სასოფლო გაზეთ ქართლი** წელიწადი მეორე.

**1913 წელს გაზეთი გამოვა იმავე პროგრამით, როგორც აქამდის გამოდიოდა, კვირაში სამჯერ.**

**გაზეთის ფასი** როგორც გორში, ისე მის გარედ ღირს წელიწადში 5 მ., ნახევარი წლით 3 მ., 1 თვით 50 კ., საზღვარ-გარედ ერთიორად.

**ჩამოთვლილ პირობებით გაზეთის დაკვეთა შეიძლება შემდეგ ადგილებში:** ბათუმში—მ. კალანდაძესთან, ბორჯომში—მასწავლებელ გიორგი ვაშაკიძესთან, ბაქოში—ფოსტაში ზაქარ. ესტ. ამბრიაშვილთან და ლევან დიმიტრ. გრიგორაშვილთან, ქარელში—ნიკოლოზ კონსტ. ციციშვილთან, ყვირილაში—სტამბა „სორაპანი“, ქუთაისში—რედაქცია „განთიადში“, წიგნის მაღაზია „იმერეთში“ და სერგო ყერელიშვილთან, ლანჩხუთში—ვ. კალანდაძესთან, მეჯვრის ხევში—იოსებ ყანჩაველთან, ტფილისში—ქ. შ. წ. კ. გ. საზ. ივანე ავალიშვილთან, სათავად-აზნაურო ქარვასლაში, თამამშევის ქარვასლაში—აბაშიძესთან, სურამში—სამკითხველოში, ფოთში—ქალაქის აფთიაქში—მდივანთან, სიღნაღში—რედაქცია „ხმა კახეთისაში“ ცხინვალში—სოსო გოგინოვთან, ცარსკი კოლოდცში -ნატროშვილთან, ხონში—ქ. შ. წ. კ. გ. ს. მაღაზიაში, ხასავ იურტში ი. ს. მესხიშვილთან, ქიათურაში—აგენტ ისიდორე შილაკაძესთან.

**მისამართი:** გორი რედაქცია „ქართლი“.

**სავაჭრო და მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი**
## ნ. ვ. აზრაპიანის
## საბუღალტრო კურსები
(არსებობს 1895 წ.)

**ავტორი „ბუღალტრიის სახელმძღვანელოსი“, რომელიც მოწონებულია ვაჭრ. და მრეწ. სამინისტროს მიერ.**

ორივე სქესისათვის **კურსი 4 თვისაა** ყოველ-დღიური მეცადინეობით.

სწავლა იწყება 15 იანვრიდან, 1913 წ. კურსებზე ასწავლიან ბუღჰალტერიისა დ სხვა სავაჭრო ცოდნათა საგნებს მრეწველობის სხვა დ სხვა დარგიდან, მაზუთისა დ ნავთის მრეწველობაზე—ყოველნაირ წესით. დახელოვნება ორმაგ იტალიურ სისტემაში. კომერც. არითმეტიკა, კომერც. მიწერ-მოწერა, სავაჭრო უფლება, სავექსილო წესდება, პოლიტიკური ეკონომია, არითმეტიკა ჩოთქზე, ლამაზი წერვა, ხელის გასწორება, მსურველთათვის **უცხო ენები,** სტენოგრაფია დ რემინგტონი. **მასწავლებელნი**—სპეციალისტნი უმაღლეს სწავლით, პრაქტიკულად და თეორეტიულად ყოველ ცალკე საგანში მომზადებულნი. **ატესტატები** სამინისტროს ნებართვით. პროგრამები და წესები უფასოდ ეძლევათ. თხოვნები მიიღება ყოველ-დღე 9—11 საათამდე და 5—7 საათამდე.

ნაკლებ მომზადებულთათვის კურსებთან არსებობს მოსამზადებელი განყოფილება რუსულ ენისა და ანგარიშისა.

წერილობით და პირადად მიმართეთ კურსების დამაარსებელს: ნიკოლოზის ქ., 22, საკუთ. სახლი. **ტელეფ. № 744.** (თ. 1644. 9)

ტფილისი მუხრანის ქუჩა № 12 სტამბა „შრომა“.